

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ



№ 6



ԱՄԵՐԻԿԱԿԱՆ ՏՈՒՄԻՈՆ — ՈՅՆՈՒՄ



1909

შინაარსი



I—ჩიტები—ღექსი, ღუტუ მგერჯღისა	3
II—ვით თვით ბუნება—ისიცი იმ ძალით ნელა ცხრებო- და.—(ღექსი ზრთხითა) ცქკიტისა	6
III—ობოლი სოსია.—გაორკისა	9
IV—მთიბავის სიმღერა.—ღექსი, ი. კვდოშვილისა	18
V—შეილი ვარსკვლავისა.—(ოსკარ უაილდის ზღაპარი) ავა- ნელისა	20
VI—ურია.—(მანტეტისა) კ. ბ.-ისა	33
VII—ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) 1859—1894.— ღ. კლიაგისა	41
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ი. შო- სეშვილისა	49
IX—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორის ბრძოლის ვე- ლიდან დაბრუნება ა. მიქაბერაძისა	56
X—ნარვეი:—ა) ციფრების ფოკუსი,—ბ) არითმეტიკუ- ლი ამოცანა,—გ) რებუსი	61


ნაპერული

საშენაწვილო ჟურნალი

წელიწადი მთავრად

№ 6.


თბილისი, 1909 წ.



თბილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

შინაარსი

I—ჩიტები—დექსი, ღუტუ შეგრეღისა	3
II—ვით თვით ბუნება—ისიც იმ ძალით ნელა ცხრებო- და.—(დექსი შროზითა) ცქვითისა	6
III—ობოლი სოსია.—გეოარვისა	9
IV—მთიბავის სიმღერა.—დექსი, ა. კვდოშვიღისა	18
V—შვილი ვარსკვლავისა.—(ოსკარ უაიღღის ზღაპარი) ივა- ნუღისა	20
VI—ურია.—(მანტეტისა) კ. ბ.-სა	33
VII—ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) 1859—1894.— ღ. უღიაყასი	41
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგა) ა. მო- სეშვიღისა	49
IX—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორის ბრძოღის ვე- ღიღან დაბრუნება ა. მიქაბერაღისა	56
X—ნარევი:—ა) ციფრების ფოკუსი,—ბ) არითმეტიკუ- ლი ამოცანა,—გ) რებუსი	61



ჩ ი ტ ე ზ ი

(უძლენი იაკობ გოგებაშვილს)



იყვარს პატარა ჩიტი ბელურა,
ჩვენ სახლის ქერ ქვეშ დაბუდებული,
კრუხ-წიწილებში რომ გარეულა
და ეძებს საკენკს გამალებული;
ზამთარ და ზაფხულ რომ არ გვშორდება,
-ქივ-ქავ, ქივ-ქავ! -ო, დაგვძახის, გვართობს,
ბოსტნებს და ბალებს თავზედ ევლება,
მწერებს და ქიებს უწყალოდ აწყობს!
მიყვარს მერცხალიც კუდ-მაკრატელა,
გაზაფხულისა მახარობელი,
უსაზღვრო სივრცე რომ გადმოთელა
და კვლავ მოძებნა მხარე მშობელი;
შეგბარი იმის მშობლიურს ზრუნვას,



მის მოძრაობას დაუცხრომელსა:
 ცის კამარაში წავარდს და ცურვას,
 კიკვიკ-გალობას, დამატკობელსა!



მიყვარს ტოროლაც, მღერალი დღისა,
 მზის სხივებითა გაბრწყინებულის;
 მღერალი ხანის, მინდორ-ველისა,
 აბიბინებულ - ამწვანებულის;
 მალღა, სულ მალღა რომ მინავარდობს,
 ვით ლამაზ შივიებს, აბნევს ტკბილ ხმათა,
 მსმენელს ახარებს, თვითონაც ჰხარობს,
 თითქო აერთებს მიწას და ცასა!



მიყვარს შაშვიცა, შავად მბზინავი,
 ეკლის ბარდებში რომ იმალება
 და დროსა მწუხრის ტკბილად მსტვინავი,
 თითქო ლოცულობს, აგალობდება;
 მტრედიც წარწარი, მწვიდი და წყნაჩი,
 მისი უმანკო გულუბრყვილობა,
 მისი ლულუნი, გრძნობით დამტკბარი,
 მისი სიმტკიცე და ერთგულობა!




მიყვარს არწივოც, მეფე ჰაერის,
 იქ, ღრუბლებს ზვეით, მარტოდ მფრინავი;
 გელიც, მშვენიება მოელვარე ტბის,
 ყელ-მოღერებით კობტად მსურავი;
 მოლაღურიცა, ტყეს რომ აფხიზლებს,
 მისი წკრიალა ხმა გულსა სწვდება;
 მწყერიც, მიწას რომ ფებს არ აცილებს,
 პურის ყანიდან გვექუქუქება!

და კიდევ უფრო მიყვარს ბუღბული,
 მგოსანი ტურფა მისის ღამის,
 რომ ატღერდება, აღფრთოვნებული,
 თითქო ისმისო ხმა ციურ კნარის;
 მისი სიმღერა, გამომხატველი
 უცნაურ ძალთა დიად ბუნების,
 მზიბლავს, შატყვევებს, გრძნობის მომგვრელი,
 ამშლელი ათას ტკბილ ფიქრ-ოცნების!..

დუბუ მეგრელი





პით თვით გუნება — ისიც იც



კალით ნალს ცხრებოდა

(ლეკსი პრაზითა)

დიდებული მეგუდა მძლავრად ღრი-
ალებდა. მისი შავი ზვირთები თვი-
სვე ნაპირებს გაშმაგებული გულ-
ღვიძლს უხრავდა და ანადგურებდა.
მოჰქონდა თან, რაც-კი გზად შეჰხვედროდა; რასაც-კი დასჯა-
ხებოდა, ძირიან ფესვიანად მოგლიჯა და უფსკრულისკენ ეზი-
დებოდა; მისი ტალღები უშველებელ ჯინს ჰანტასავით მოა-
გორებდა; ჰაწია აკვანს და კოდოპანს ხან ბზრიალასავით ატრია-
ლებდა, ხან შავ კალთებში რამდენსამე ხნით ცელქად მალავდა,
შემდეგ ხარხარით შორს საღმე ბურთივით მალდა ისროდა;
მოტივტივე ყვინჩილას და ნიშა ხბოს საცოდავად მოახეთქე-
ბდა; ფესვებიანად დაგლეჯილ ხეებს ნაპირებზედ ჩინჩხვარი-
ვით იტივტივებდა. თან ღრილებდა ძლევა მოსილი და თვის
გარშემო ისედაც განადგურებულ არე-მარეს შიშსა და ძრწო-
ბასსა დასაწყისად მოსი ძირს მდებარე ჰაწია სოფელს, რო-



გორც მონას და უნუგეშოს, საცოდავად ხმა ჩაეწყვიტა, მისი კეშანს, სულ-შემხუთველ მის მწუხარებას არად აგდებდა, იბრალებდა სოფელს უმწეოდ დაშთენილსა და უნებურად ამონაკენეს თვისის ღრიალით წამსვე შთანთქავდა. სდუმდა გარემო... სეტყვისაგან ჩარგვილ ხეზედ ფოთოლიც-კი არ ინძრვოდა; მხოლოდ მთას იქით ცა რისხდებოდა, ვალმა მეჯუდა მედიდურად გამოშხუოდა და სოფლის ბოლოს გაცეცხლებული ნინიკა უსამართლობას ემუქრებოდა. აქამომდე მშვიდი ნინიკა ახლა თითქმის ვერ იცნობოდა: შებლ-მოდუშულს და აღშფოთებულს მეტის სიმწარით საკინძე ჩამოეგლიჯა, ქუდი მარგილზედ ჩამოეგო და თმა-გაწეწული ნახევრად მოგლეჯილ ღობიდგან რიყედ ქცეულ ყანას ვაცოფებული გადასცქეროდა.

— ჰჰაი, ჩამოინგერ, შენ გაოხრდი, ცაო ტიალო! ჩამოგენგრეს ეგ სამართალი, რომ ჩვენის ტანჯვით ვერ გამაძლარხარ. ნეტავი ერთხელ საჩუდამოდ თავს ჩამოგვექცე, ვაგვანადგურო და მოგვასვენო; აღარ გვინდა აღარც სიცოცხლე და არც მონობა... ჰჰაი, შენი... შე მტარვალო, დაუნდობელი!

ასეთის რიხით გაიძახოდა ნინიკა, თითქოს სცდილობდა, ზეცის რისხვა თვისის გაკიცხვით რომ დაეძალა.

სალამომ კიდევ წამოიწია. ქექა-ქუხილის გულ-შემხარავ გრილის შემდეგ, ცამ შერისხულმა ტანჯულ მიდამოს ისევ უღბინა; მზე გამობრწყინდა, გამოშუქდა წყნარის ნათელით და უდარდელად, გულ-უბრყვილოდ დაჩაგრულ არეს წამს გაუღიმა. მოხიბლა თითქოს მის მშვენებამ ის არე-მარე: როგორც რომ ბავშვმა ჩვილმა, უმანკომ, დედა-მიწამაც ნამტირალწევმა იმავ ცრემლებით თითქოს შესცინა. შეურიგდა ცა დედა-მიწას და, ზავის ნიშნად, ცისარტყელა თავს გვირგვინად გადმოაფინა. მეჯუდა იმ წამს დამშვიდებული ნელის შხუილით რალაც განგებას თაყვანსა სცემდა. ტყე ჩარგვილი წყნარის შრიალით სალამოს ლოცვის ტკბილად ამბობდა.




სიო კუდრაქა აქა-იქა ეშმაკურად დანავარდობდა, მუხრანს მუხრან
 ლუროს გულ-წარმტაცად, მოსალხენად შეკლილინებდა მის მხარე
 რილ ღერწამს, ვით აქლერებულ სიმს, ისე არბევდა.

ნინია ისევ თავის ყანას განადგურებულს მწარე ნა-
 ღველით დასჩერებოდა და ცრემლი ცხარე მიმქრალ სახეზედ
 ღაბა-ღუბით ეღვენებოდა. თუმცა უძლური ბუნების ძალას
 უნებურად ემონებოდა, მაგრამ იღუმლად რაღაცა გრძნობით
 ისიც ნელ-ნელა იმსკვალებოდა და, ვით ბუნება დამშვიდებუ-
 ლი, ისიც უმჩნევლად ისე ცხრებოდა. წელში მოხრილი შე-
 უპოვრად წაწვენილ ყანას ქვებს აშორებდა, ძირს უმაგრებ-
 და და იმ საქმის დროს რაღაც იმედით, რაღაც ძალით სულ
 იცვლებოდა.

ცქვიტი





ობოლი სოსია



ვდრიანი დღეა. მოკტორუშებულ ცას ნისლითა და ბნელით მოუცავს არე-მარე. აღარა წვიმს, მაგრამ ფოთლებიდან კიდევ ჩამოსწევთს დედამიწაზედ. ერთ ხის ქვეშ ატუზულა ვილაკის წელ-წამბდარი და რომ იტყვიან „წისქვილზედ დასაფქვათ“ ცხენი, თავი ჩაუქინდრავს და ქეციაანს კუდს საცოდავად იქნევს, ვითომ ბუზებს იგერებს; ხანდახან კბილებითაც იფხანს თავის გამხმარ გვერდებს. იქვე მის ახლო ერთმანეთს მიპკვრია ათიოდ ცხვარი და უგემურად იცოხნება.

ზაფხული იყო, მაგრამ ავი დარი დაიჭირა და საგრძნობლად ციოდა. სათივეს ქვეშ ქედა ძალი გორგალივით მოხვეული იწვა; თავის ბანჯგვლიან კუდში ჩაეყო ცხვირი და არხეინად ეძინა.

ეზოში აქა-იქ ვუბეები იდგა, კალოზედ-კი იმდენი წყალი დამდგარიყო, რომ ტბას მოგაგონებდათ.

დიდს სიამოვნებას გრძნობდნენ ამ დროს ბატები: ხან ერთ გუბეში ჭყუმპალაობდნენ, ხან მეორეში და დიდს სიამოვნებაში იყვნენ.



სახლის წინ დერეფანში პატარა ბიჭი იჯდა, ათწევრიანი მეთის წლის სოსია. შიშველი ფეხები გაეშოტნა, ზურგი სახლის კედლისთვის მიეყრდნო, თავი-კი ძირს ჩაეკიდნა, გეგონებოდათ სძინავსო.

მაგრამ არ ეძინა. სახეზედ ნათლად აღბეჭდოდა მწუხარება...

სახლიდგან მოისმოდა გულ-საკლავი ქვითინი მისის დედისა: კაი ხანია, რაც სოსიას მამა ავად ჰყავს. უკვე რამდენიმე დღეა უგონოდა წევს. იმის შორჩენის იმედი აღარავისა აქვს.

სოსიას-კი ვერა გაუგია-რა: გულს უკლავს დედის ტირილი, მაგრამ ვერ მიმხვდარა, რად ტირის ასე ცხარედ დედა... შართალია, მამა ავად არის, მაგრამ რა უყოთ? კვლავაც ყოფილა ავად, მაგრამ დედას ასე არას დროს არ უტირნია.

სოსიამ თავი აიღო და ეზოსკენ გაიხედა; აქ ბატები ისევ ისე გულმოდგინედ ჰყუშებოდათ გუბეში.

ამ დროს ხრიხალთან გამოჩნდნენ შეზობლიანთ ბატები. ჯერ წინამძღოლმა შემოჰყუთ თავი ხრიხალში. იმას მოჰყვა მეორე, მესამე და ლარივით დამწკრივებულნი ლახ-ლახით გამოემართნენ სოსიანთ ეზოსკენ.

სოსიანთ ბატებმა ამ დაუბატოებელ სტუმრების მოსვლა ძლიერ იუცხოვეს: წაიგრძელეს კისრები და მიესივნენ. — «ჰკა მაგათაო!» დასძახეს.

არც მოსული ბატები შეშინდნენ და გაიმართა ერთი უშველებელი ყიყინი და ფრთების ჰარტყუნი. «ბატების თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავსა.» ჰქოჩრავენ ერთმანეთს, ფრთითა და ნისკარტით სცემენ; ერთს კიდევ ჩაუვლია ფრთაში ნისკარტი თავის მოწინააღმდეგესათვის და ისე შიათრვეს, თითქო მკვდარიო.

— ნელა გეთაყვა, ნუ გამისვარე ტალახში თეთრი ქათიბი, ეს იყო გუბეში გავირეცხეო, — ემუდარება დამარცხებული, მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევს.

სოსიას ნაღვლიანი სახე გაუმხიარულდა, თვალები გაუბრწყინდა და ცნობის მოყვარეობით დაუწყაო ცქერა ბატების აურ-ზაურს.

მოსული ბატები ბევრი იყვნენ და მედგარი იერიში მოჰქონდათ შინაურებზედ. არც კი ესენი უხედებოდნენ ლაჩრად, მაგრამ ვერა გააწყეს რა და ვერ მოიშორეს დაუპატივებელი სტუმრები. სოსიამ გადახედა ქედას. ქედა კაი ხანია წამოსკუპებულოყო უკანა ფეხებზედ და ესეც თვალს ადევნებდა ბატების ჩხუბსა.

სოსიას და ქედას თვალები ერთმანეთს შეხვდა. ქვიანი ძალლი მაშინვე მიხვდა პატრონის აზრს. ვიდრე სოსია „სსი... სსის...“ ეტყოდა, ის უკვე ბატებთან დაიბადა. დაერია უცხო ბატებს და ნაცარტუტა აადინა. რომელსაც კი დაავლებდა პირს, ბურთივით ისროდა. ბატები ყიყინით გარბოდნენ შინისკენ. ზოგმა აფრენაც კი იკადრა და იქვე დაეცა ლობებში.

მტერი დამარცხდა და უკუქცეულ იქმნა. გამარჯვებული ქედა ქასქასით მობრუნდა შინისკენ. შინაური ბატები ყიყინით მიეგებნენ და გამარჯვება მიულოცეს. ქედამ არც კი მიპხედა, ამაყად მივიდა თავის ბინაზედ; მერე ისევ დაეგდო და თავისი სველი ცხვირი ბანჯგვლიანს კუდს ჩააბარა.

ყველაფერი მიწყნარდა და სოსიას სახესაც ისევ ნაღველი გადაეფარა. დედის ქვითინი და ოხვრა უფრო გულსაკლავად მოისმოდა. მოდიოდნენ მეზობლები, ნათესავები ავადმყოფის სანახავად. ის კი ვერავის სცნობდა და ვერც არას გრძნობდა.

საღამო ხანზედ ავადმყოფი გონზედ მოვიდა და სოსია მოიკითხა. „სად არის ჩემი სოსია“ო. სოსიას დაუძახეს; მან დაინახა ფერმკრთალი, მაგრამ დაწყნარებელი სახე მამისა. სოსია მიუახლოვდა. მამამ გადმოხედა ცრემლ-მორეულ თვალებით და უთხრა:—შენ კი გენაცვალე, ჩემო პატარა შვილო, ჩემო კარგო სოსიაე! პატარა ხარ, მაგრამ ყოჩალი ხარ, გენაცვალოს მამა!



— ხომ იცი, რომ ჩვენი მშველელი ქვეყანაზე არის. ჩემი უფროსი შვილი შენა ხარ და ოჯახის პატარა პატარა და მომვლელიც შენ უნდა იყო. ობლობაში გულს ნუ გაიტეხ, გენაცვალე, ღმერთი გიშველის!.. დედა შენი... დედა-შენი...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გული ამოუჯდა და ველარ დაათვა სიტყვა, ისევ გული წაუვიდა. სოსია გარედ გაიყვანეს.

საქმე როგორღაც კუდად არისო, გაუელვა თავში სოსიას: „რად შელაპარაკებოდა ასე მამა? როგორ თუ ობლობაშიო“?

მოაგონდა მეზობლიანთ ტიტო. იმასაც შარშან მამა ჰყავდა, მაგრამ მოუკვდა. ახლა „ობოლია“...

სოსია ახლა-კი მიხვდა, როგორც იყო საქმე. მამა უკვდებოდა...

— მამავ, მამილო! დაიბლავლა საცოდავად და გაექანა სახლისკენ, მაგრამ შინ აღარ შეუშვეს. მის ტირილზედ მეზობლებმაც ქვითინი დაიწყეს.

სოსია სამი პატარა და-ძმით დაობლდა. მკათათვე იყო. ერთს საღამოს მეზობლიანთ ბიჭმა ქიტამ ამოიარა ორლობიდან.

— ჰაააი, ქიტაავ! — გასძახა სოსიამ.

— რა გინდა, სოსი? — გამოეხმაურა ქიტა.

— ზვალე მინდორში ხომ არ მიდიხარ?

— მივდივარ, როგორ არა.

— მაშ, ერთად წავიდეთ, მინდა ჩვენი ყანები ვნახო, — სთქვა სოსიამ ისეთი დარბაისლურის სიდინჯითა და კილოთი, გვეგონებოდათ, — ბავშვი-კი არა, ვაეიკაცი ლაპარაკობსო.

ქიტა თვრამეტ-ცხრამეტის წლის ბიჭი იყო და ღიმილით გადმოჰყურებდა პატარა სოსიას.

— წავიდეთ, სოსი, წავიდეთ, — უთხრა ქიტამ: დილაზედ აღრიან ურემი უნდა წავილო მინდორში, ჩამოვივლი, გაგაღვიძებ და წავიდეთ.



— რა შენი გაღვიძება მინდა, ჩემზედ აღრე დაღვიძებულნი
თუ?— ცოტა ამყად უპასუხა სოსიამ.

მეორე დღეს ჯერ ისევ ბნელოდა, რომ სოსია უკვე ფეხზედ იდგა. შეგკრა თავისი ბარგი-ბარხანა და ჩამოჯდა სახლის კარებზედ.

პატარა კაცუნა ფიქრებში გაიტაცეს: მოაგონდა თავისი საყვარელი მამა... მაშინაც ასე აღრე დგებოდნენ ხოლმე ისა და მისი მამა. დაიწყებდნენ საქმეზედ თათბირს, ისე ესაუბრებოდა მამა თავის პატარა შვილს, თითქოს მისი ტოლი და ამხანაგოაო, ვაჟიკაციაო.

ახლა? ახლა დარჩა მარტოდ... ოჲლად... ობოლია სოსია!...

— დედა გენაცვალოს, შვილო, არ დაგცხეს და არ დამიყენო ორივე თვალეში!— ეუბნებოდა დედა ალერსით: მალე მოდი, გენაცვალოს ჩემი თავი, ავიდ არ გამიხდე!...

სოსია აღგა, ორიოდ გადააბიჯა და გაიხედა ორღობისკენ.

— ი ქიტამ რად დაიგვიანა აქამდის? ძალიან-კი კვებულობდა, აღრე გავაღვიძებოდა!

ამ დროს მოისმა ურმის კრიალი და შოლტის ტყლაშუნი.

— ჰამო, ჰო! — უჯავრდებოდა ხარებს ქიტა. ხიიმამ, ჰოოო... ჰო-ჰო-ჰო-ჰო.

— ბიქოს, შენ მზადაცა ხარ? ყოჩად სოსია!.. გაიკვირვა ქიტამ და შეაყენა ურემი.

სოსიას დედამ თვალი გააყოლა ურემს, მწარედ ამოიოხრა, მოიწმინდა ცრემლიანი თვალეში და ისევ სახლს მიუბრუნდა.

— საცოდავო ობლებო, — ბუტბუტებდა თავისთვის სოფიო. რამდენი ტანჯვა უნდა გამოიაროთ, ვიდრე დამეზრდებით!.. როგორ უნდა დავმყოთ ის ყანები, ფული ჩვენ არსად ვაგვაჩნია და რა გვეშველება?.. ეჰ, სიღარიბეც, შე დაწყველილო!..

ქიტას ქერი ჰქონდა წამოსაღები. სოსიამ უშველა უკემ-
ზედ დადებდა. მერე შეეხვეწა, შენი პატარა ნამგალი მათხოვე,
თუ ძმა ხარო.

წამოსაღები
წამოსაღები
წამოსაღები

— რად გინდა, ბიჭო, ნამგალი? განა მკა იცი?

— ვიცი კოტათი... საწყალი მამა მასწავლიდა ხოლმე.

სოსიამ ნამგალი ხელში იიღო, გადაატრიალ-გადმოატრი-
ალო, ფხა გაუსინჯა. ოდნავ გაიღიმა: ნამგალი კარგი გაღე-
სილი იყო და ეტყობოდა, თვალში მოუვიდა. გაიკეთა წელ-
ში და გასწია თავის ყანისაკენ.

მაგრამ საქმე ის იყო, როგორ მიაგნებდა თავის ყანას?
დღიური დღიურთან, ყანა ყანასთან ძმურად გადაქიმულიყვნენ
და სიგრძე-სიგანით, თუ სიმაღლით, ძლიერ გვანდნენ ერთ-
მანეთს. მართალია, სოსიას ყანა შავი თავთუხია, ადვილი სი-
ცნობია, მაგრამ შავი თავთუხი რომ სხვებსაცა აქვთ! ერთი
უტყუარი ნიშანი იცის სოსიამ და ამ ნიშნით კი უეჭველად
იპოვნის: ყანის თავში ძვეს დიდი ლოდი. ამ ლოდს ის კარ-
კად იცნობს, ზედ ბევრჯელ მჯდარა და უთამაშნია, როდე-
საც მისი მამა ყანასა მკიდა ხოლმე.

უცებ გაჩერდა ერთის ყანის წინ, თითქოს გულმა იგრ-
ძნო, რომ იმისი იყო. შავფხიან, დიდრონ თავთავეებით გადა-
ლესილი მაღალი ყანა ოდნავ ჰღელავდა. ტალღა ტალღას
მისდევდა და მთელი მინდორი აღელვებულ ზღვას მოგაგონებ-
დათ. მზემ ის-ის იყო ამოაქუჩტა, მისმა ოქროს ფერმა სხივებმა
უფრო დაამშვენა მთლად მოელვარე, ზღვისავეით აღელვებუ-
ლი ველ-მინდორი. გრილი სიო საამურად უაღერსებდა სო-
სიას. გარშემო მწყერების ჭუკ-ჭუკი გაისმოდა:

— „ქვით-ქვირ, ქვით-ქვირ“! — ერთი მწყერი სწორედ
სოსიას ფეხებთან ჩავარდა ბალახებში. სოსიას გული აუფან-
ცქალდა, ხელი წიატანა, ეგონა დავიკერო. მაგრამ მწყერი
შეძვრა ყანებში და ახლა სხვა მხარეს დასძახა: „ქვით-ქვირ,
ქვით-ქვირ“! სოსიამ გაანება მწყერებს თავი და ახლა ყანას
მიუბრუნდა.

— ეს მგონი ჩემი ყანა უნდა იყოს, — გაიფიქრა გულში: აგერ ის დიდი ლოდისა!

— რა კარგი ყანა გვექონია! საწყალი მამა, რანაირ გაიხარებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო!

— მერე ვინ უნდა მომკოს? მე, მე უნდა მოვმკო! — სთქვა გულზე თითის მიბჯენით. მე ვარ ოჯახის პატრონი და მომვლელი. აკი მამამაც ასე მიბრძანა. სოსია მოკედეს, თუ ვერ აუსრულო ანდერძი!

იქვე შორი ახლოს ვიღაცა მკიდა და წყნარად ლილინებდა. მებობლის დანახვამ უფრო გაამხნევა ჩვენი სოსია.

— ჰოპ! ჰოპ! ჰერი, ჰერი, ბიჭებოო! — დასძახა ამანაც და მიეკრა ყანას. უღვაშ-გრძელი თავთავი სალამს აძლევდა სოსიას:

— გამარჯვება, ჩვენო ერთგულო, ჩვენო კარგო პატრონო! პატარა ჩანხარ, მაგრამ, გეტყობა, ყოჩალი ბიჭი ხარ. ნუ გეშინიან, შენ გაისარჯე და ვერც ობლობა დაგჩაგრავს, ვერც სიღარიბე!

სოსია ისმენდა თავთავის ჩურჩულს და შრილს, თან ბეჯითად მკიდა ყანას.

უცებ მწყერს წააწყდა. ბალახებში ფეხები გაჰბმოდა და საცოდავად ფართხალებდა.

— ოჰო, ეს კაი სადილი ვიშოვე! — ჩაილაპარაკა თავისთვის სოსიამ და მწყერი უბეში ჩაისვა.

არ გასულა დიდი ხანი, მის წინ უცებ რალამაც ჩაჩუნდა დაიწყო. ათურმე იქვე ერთ ბუჩქის ძირში მწყერის ბუდე ყოფილიყო, შიგ ხუთი ჩოჩორი იჯდა და შიშისაგან ერთმანეთს ეკვროდნენ.

სოსიამ ამათი დაჭერაც დააპირა, მაგრამ მწყერის ჩოჩრებმა აქეთ-იქით გაძვრნენ და ყანაში მიიმალნენ. ბევრი ეძება, მაგრამ იმათ კვალს ვეღარ მიაგნო.

წამოწვა იქვე ძნაზედ და რალაც ფიქრებს მიეცა. მისი აქამდის მზიარული სახე და ნათელი შუბლი კვლავ შეემაღრუბელმა შოიცვა.



— საცოდავი ჩოჩრები! ფიქრობდა ობოლი ^{ქრისტეშვილი} იცის, ახლა საით მიიმალნენ და გულის ფანცქალით მოელიან თავის საყვარელ დედის ქუეკუეის გაგონებას. საწყლები! ისინიც ახლა ჩემსავით ობლები არიან... როგორც მე მამა აღარა მყავს... მამავ! მამავ!...

წამწმებზედ დაკიდებული ცრემლი თვალებზე დახამხამებდას ელოდა, რომ ძირს ჩამოვარდნილიყო და გახურებულ მიწას ჩაჰკროდა. მაგრამ გული მოიბრუნა. მერე ამოიყვანა უბიდგან დედა-მწყერი და აღერსით თავზედ ხელი გადაუსვა.

— წადი შენ შვილებთან, — ეუბნებოდა მწყერს: ნუ დააობლებ, ჯერ ხომ პატარები არიან... აბა, რა უნდა ქნან უშენოდ? როგორ იცხოვრებენ? წადი, მოუარე შენს შვილებს... მშვიდობით! წადი, რაღასა ზიხარ? — სოსიას ხელი გაშლილი ჰქონდა, მაგრამ მწყერი, თითქოს ჯერ გონზედ ვერ მოსულაო, ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა ხელის გულზედ.

სოსიამ ხელი მალლა ასწია. ახლა კი მიხვდა მწყერი, როგორც იყო საქმე, დაიფრთხილა და შორი-ახლოს ჩაიმალა ყანაში.

ცოტა ხანს შემდეგ ისევ გაისმა მხიარული „ქვით-ქვით“.

სოსიასაც გულზედ მოეშვა, გამხიარულდა, დასძახა ისევ თავისებურად და დაიწყო მკა.

ჯერ უშადლე არც კი იქნებოდა, რომ ერთი ათეული შეკრა და დადგა კიდევ, თუმცა ბევრს კი ეწვალა იმის დადგამზედ.

ამ დროს მახლობელს ბილიკზედ თორმეტამდის მუშა გამოჩნდა სიმღერით მომავალი. თავიანთი ყანები დაემკოთ და ახლა შინ მიდიოდნენ.

— ბიკო. ბიკო, ერთი უყურე ი პატარას, როგორა მკის! — წამოიძახა ერთმა, რომელიც ყველაზედ წინ მოდიოდა. მუშებმა გაკვირვებით დაუწყეს ცქერა სოსიას, ზოგს გაეცინა კიდევ.



— ბიკო, პატარო ბიკო, ვისი ხარ, ქაჯან? — ჰკითხა მამა.

— ვისი ვარ რა... ვისი უნდა ვიყო!

— ეს ხომ სოსიაა, გიგიათ სოლომანას შვილი, ამ წინა-
ზედ რომ გარდაიცვალა! საწყალი!..

— მოდით, ბიჭებო, ხელად მოუშვით ე ყანა! — სთქვა
ერთმა მუშამ. ყველანი დასთანხმდნენ. თორმეტი კაცი ყი-
ვინით მიესია სოსიას ყანას. ახლა სოსია უცქეროდა ამათ გა-
კვირვებული.

მზე ჯერ შუბის ტარზედ არც კი იყო ჩასული, რომ
სოსიას ყანა გაათავეს და ათეულეზად დადგეს. მერე სიმღე-
რით გაემართნენ შინისკენ და სოსიაც თან წაიყვანეს.

სალამოზედ სოსია დედასთან იჯდა და უამბობდა ყველა-
ფერს. დედას სიხარულის ცრემლებით ვესებოდა თვალები.

გიორგი





მთიბავის სიმღერა

ბელო, მოუსვი ბაღახსა,
განზე გაიტა პირია;
გამოჰკა, გამოიტანე—
ნიშა-ნიკორას წილია!

ცელო, მოუსვი ბაღახსა,
დაესდგათ თივების ძირია,
იონჯა, ურო, სამყურა *)
სათიბად გადახრილია!

ტოროლავ, მალღა რო მღერი,
გვივლი და გვივლი თავზედა,
ხან დაეშვები ჯეჯილში,
ხან წამოსჯდები ნარზედა;

მეც,—ჩემი ცელიც ბანს გაძღვეთ
მივღვეთ, მივეყვებით მოღებსა,
ხან კურდღელს დაეფაცურებთ,
ხანაც დაეფართობთ ვნოღებსა!

აქ მე და შენ ვართ ერთადა,
მინდორში ძმურად გასული,
მე დავიღლები—შენ მშვეელი,
ცელს—საღესავი ქასური.*)

*) იონჯა, ურო, სამყურა — ბაღახების სახელია.

*) ქასური საღესავი — ქვა საღესი.




დილით მაგრილებს ნიავი,
 დაძრული მალა მთიდამა,
 ჰოროველა და მუშური
 მოისმის ყოველ მხრიდამა!

შუადღისას რო მზე დამკრავს,
 არც იმას შეუშინდები,
 გულს მიხალისებს, მამხნევეს,
 ლამაზ-ლამაზი კვირტები!

მაშ, ცელო, აბა, მოუსვი,
 განზე გაიტა პირია;
 არ მოგვიშვიდეს ნიკორას,
 დავდგათ თივების ძირია!

ი. ევდოშვილი





შვილი ვარსკვლავისა

(ოსკარ უაილდის ზღაპარი)

მრთხელ—დიდი ხანია მას აქეთ—ფიქვის დიდ ტყეში
ორი შეშის მკრელი მიდიოდა. ზამთარი იყო და
ძლიერ ციოდა. დედამიწასა და ხის ტოტებზე დიდი
თოვლი იდგა. გზის ორსავე ნაპირს გამხმარი უჩიხი
გაყინულიყო და ტყაცა-ტყუსი გაჰქონდა. როცა
მიუახლოვდნენ მთის ნაკადულს, ნახეს, რომ უძრავად
ეკიდა ჰაერში, რადგან ყინული მეფეს მოეხვია თვისი მძლავ-
რი მკლავები და გულში ჩაეკონა.

ისე ციოდა, რომ ფრინველთაც და მზეცთაც არ იცო-
დნენ, რა ექნათ.

— უჰ, — ჰლმუოდა მგელი, რომელიც კოკლობით, კუდ-
ამოძებული იკვლევდა გზას ნაქარში — მართლაც რომ საო-
ცარი ამინდია. რას უყურებს მერე მთავრობა?

— უიტ! უიტ! უიტ! — ჰიკიკობდა ქვინტა — ბებერი დე-
დამიწა მომკვდარა და ზედ სუდარა გადაუფარებიათ.

— დედამიწა თხოვდებდა და საქორწინოდ მორთულა —
ეჭურჩულებოდნენ ერთმანეთს გვრიტები, რომელთაც წითელი
ფეხები დასძროდათ, მაგრამ მაინც თავის მოვალეობად მიაჩნ-
დათ სიყვარულის თვალთ ეცქირნათ ასეთის სანახაობისათვის.



— მიჰქარავენ! — დიღმულია მგელმა. — გეუბნებენ, რუსებს...
ეს სულ მთავრობის უსაქმობაა; და თუ არ დამიჯერებთ, წყნ
ლას შეგკამთ. მგელს ნამდვილი პრაქტიკული ჯეჟა ჰქონდა
და არასოდეს არ უფიქრდებოდა საბუთებს.

— რაიცა შემეხება მე, — განაცხადა მწვანე კოდალამ,
გულში ფილოსოფოსმა, — მე არ ვახლავართ ატომისტურ თეო-
რიის მომხრე. რაც ასეა, — ასეა; ახლა-კი ძალიანა ცივა.

და მართლაც საშინელი ტეხერა იყო.

პატარა თრიები, რომელნიც მაღალ ნაძვის ფულუროში
სცხოვრებდნენ, ერთმანეთს ცხვირ-პირს უხახუნებდნენ გა-
სათობად; ბაქიები-კი ბურთივით შეკუმშულები ისხდნენ თა-
ვიანთ სოროებში და გარედ ცხვირის გამოყოფასაც ვერ ჰბედავ-
დნენ. როგორც ეტყობოდა, მხოლოდ დიდყურა ბუ იყო კმა-
ყოფილი. ფრთება თუმცა დართვილული ჰქონდა, მაგრამ ამას
არაფრად აგდებდა და თავის დიდის და მრგვალის თვალების
ტრიალით გაჰკიოდა თავისიანებს — ტუ-ვიტ! ტუ-ვუუ! ტუ-ვიტ!
ტუ-ვუუ! რა მშვენიერი ამინდია!

შეშის მკრელნი თანდათან გზას იმოკლებდნენ, გულ-
მოდგინედ უბერაედნენ სულს თავიანთ თითებს და აპაკუნებ-
დნენ გაყინულ თოვლზე თავიანთი მძიმე ფეხთსაცმელებით.
ერთ ალაგას ღრმა ნამქერში ჩაიფლნენ, სულ მთლად ამოი-
ლანგნენ თოვლში და ისე იყვნენ გათეთრებულნი, როგორც
მეწისქვილენი; ერთგან კიდევ ფეხი მოუსხლტათ გაყინულ,
მოკრიალბებულ ტბის ყინულზედ, ფიხის კონები სულ დაებ-
ნათ და ხელახლა დაუწყეს მოგროვება და შეკონვა; ერთხელ
მოეჩვენათ, ვიანომ გზას ასცდნენ და ძალიან შეშინდნენ,
რადგან იცოდნენ, რომ თოვლი ძლიერ მკაცრია იმათთვის,
ვისაც გულში ჩაიხუტებს. მეტი ღონე არ იყო, მიენდვნენ
კეთილის წმინდა მარტინის მეოხებას, რომელიც მგზავრთა
მფარველია, დაბრუნდნენ უკან და გაფრთხილებით იკვლევდნენ
გზას. როგორც იყო, ტყის ბოლოსაც მიადწიეს და შორს,
ქვეით ვაკეზე დაინახეს თავიანთი სოფელი.



ისე გაუხარდათ განსაცდელისაგან გადარჩენა, რამეთუ მუხუმი მალლა სიცილი დაიწყეს და დედამიწა მოეჩვენათ მკვრივად და მთვარე კიდევ ოქროს ყვავილად.

მაგრამ როცა მოაგონდათ თავიანთი სიღარიბე, სიცილი მწუხარებად გადაექცათ და ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს: რა გვიხარიათ, როცა ვხედავთ, რომ ცხოვრება მდიდრებისთვისაა გაჩენილი და არა ჩვენთვის. ისევ სჯობდა სიცივეს გავეგუდეთ, ან და კიდევ ნადირს დავეგლიჯეთ.

— მართალია, — მიუგო ამხანაგმა, — ზოგს ბევრი აქვს და ზოგს — ცოტა. უსამართლობის გაუყვია ქვეყანა და ერთ რამეში ყოფილა გულუბვი, — უბედურებაში.

მაგრამ ვიდრე ამ ჩივილში იყვნენ და თავიანთ ბედსა და სიღარიბეს ემდურებოდნენ, ერთი უცარი ამბავი მოჰხდა: ცილამ მოსწყდა ერთი შუქური, ლამაზი ვარსკვლავი. ვარსკვლავმა გაიღვია ცის კიდებზედ, ჩაუქროლა სხვა ვარსკვლავებს და ისე მოეჩვენათ, ვითომ ტირიფებს უკან დაეცა, იმ ტირიფებს უკან, რომელიც იდგა თვით საცხვარესთან, გასროლილ ქვის მანძილზედ.

— უიმე! აი, სიმდიდრე, ვინც იმას იპოვის! — დაიძახეს და დაედგნენ: ისე სწყუროდათ ოქროს პოვნა.

და ერთი მათგანი დაწინაურებული სიჩქარით იკვლევდა გზას ტირიფებ შორის, რომლის იქითაც მართლაც დაინახა თეთრ თოვლზედ რაღაც ოქროს მსგავსი. საჩქაროდ მიუახლოვდა, დაიღუნა და ხელი დაიფარა ნაპოვნს: ეს იყო ოქრომკედის წამოსახამი, შესანიშნავის ხელოვნებით ქსოვილი ვარსკვლავებით და ბევრჯერ დაკეცილი. და მიაძახა თავის ამხანაგს, ვიპოვე ციდან ჩამოვარდნილი საუნჯეო და, როცა ისიც მიუახლოვდა, დასხდნენ თოვლზე, გადაშალეს წამოსახამის კალთები ოქროს ფულის გასაყოფად. მაგრამ, ვაი, რომ გაუცრუვდათ იმედი! იქ არ აღმოჩნდა არც ოქრო, არც ვერცხლი, არც სხვა რამ საუნჯე, მხოლოდ უსუსური, ღრმა ძილში მყოფი ბავშვი იყო წამოსახამში გახვეული.

და ერთმა უთხრა მეორეს: აი მწარე ბოლო ჩვენის იმედებისა. არ გვქონია ბედი: აბა, რად გვინდოდა ეს ბავშვი? მივიანებოთ თავი და წავიდეთ ჩვენის გზით, ჩვენი ბავშვებიც გვეყოფა და რა ნება გვაქვს, ჩვენებს მოვაკლოთ და ამას ვაკამოთ?

მაგრამ მეორემ უპასუხა:—არა, არ ვარგა ამ ბავშვის აქ დაგდება და დაღუპვა ამ თოვლში; თუმცა მეც შენსავით ღატაკი ვარ და ბევრი მშვიერი შესცქერის ჩემს მარჯვენას, მიინც წავიყვან და ჩემი კოლი არ დააგდება უყურადღებოდ.

სათუთად იყვანა ბავშვი, გაახვია წამოსასხამში, რომ ცივი ქარი არ მოჰხვედროდა და ჩამოვიდა მალღობიღამ სოფელში. მის ამხანაგს უყვირდა მისი ასეთი უგუნურება და გულკეთილობა. როცა სოფელში მივიდნენ, ამხანაგმა უთხრა:

— მოდი, ბავშვი შენი იყოს და წამოსასხამი — ჩემიო; ჩვენ ხომ პირობა დავდეთ, ნაპოვნი შუა გაგვეყო?

მაგრამ მან უპასუხა:

— არა, წამოსასხამი არც ჩემია და არც შენი, არამედ ამ ბავშვისაა. და, გამოეთხოვა რა ამხანაგს, მივიდა სახლში და დაუწყო კარებს კაკუნს.

როცა მისმა კოლმა კარები გააღო და დაინახა თავისი ქმარი კოცხალი და უვნებელი, შემოეხვია კისერზედ და ჩაეკონა; ჩამოართვა ზურგზედ აკიდებული ფიჩხის კონა, მოაცილა ფეხთსაცმელთაგან თოვლი და შეიწვია შინა.

ქმარმა უთხრა: რაღაც ვიპოვნე ტყეში და ახლა შენის მზრუნველობისათვის მომინდვია, — კარებში იდგა და არ შედიოდა სახლში.

— ეს რა არის? — იკივლა დედაკაცმა. ვეუო, ჩვენს ოჯახს ბევრი რამ აკლია. ქმარმა გაშალა წამოსასხამი და დაანახვა მძინარე ბავშვი.

— შე უბედურო! — წაილაპარაკა კოლმა, — განა ჩვენი ბავშვები არ გვეყოფა, რომ სხვისი ბავშვი წამოგიყვანია? მერე, ვინ იცის, რა ფეხი მოიტანოს ჩვენის ოჯახისათვის. ან



როგორ და რითი უნდა ვასაზრდოვოთ?—გაუჯავრდა ქველუკი ქმარსა.

— არა, ქალო, ეს ხომ ვასკვლავის შვილია, — უპასუხა შეშის მკრეღმა და უამბო, როგორ და რა სასწაულით იპოვეს.

მაგრამ ცოლი მაინც არა სცხრებოდა, დაუწყო ლანძღვა და გულმოსული ეუბნებოდა: ჩვენის ბავშვებისათვის არ გვეფინის საზრდო და ნუ თუ სხვისას უნდა ვაქამოთ?! ახლა ვინ არის ჩვენი მზრუნველი? ვინ მოგვცემს პურს?!

— ღმერთი ბელურეებისთვისაც კი ზრუნავს და არ აკლებს საქმელს, — მიუგო ქმარმა.

— ბელურეები კი არ იხოცებიან ზამთარში შიმშილით? — შეუბრუნა ცოლმა სიტყვა, — და განა ახლა ზამთარი არ არის? ქმარი გაჩუმდა და კარებში იდგა ისევ.

ცივმა ქარმა დაჰბერა ტყილამ ღია კარებისაკენ და დედაკაცი გააფრთხილა სიცივით, მოიკუნტა და სთქვა: — მიხურე კარი, თორემ ცივი ქარი ჰქრის და შემცივდა.

— სახლში, საცა გული გაციებულა, განა ცივი ქარი არა ჰქრის? — შეეკითხა ქმარი. ცოლმა ხმა ჩაიკმინდა და ახლოს მიუჯდა ცეცხლს.

რამდენისამე წამის შემდეგ ცოლი მიუბრუნდა და შეჰხედა ქმარს, რომელმაც მის თვალებში ცრემლები დაინახა. მაშინ საჩქაროდ შევიდა სახლში და ჩაუდვა ბავშვი ცოლს კალთაში. ქალმა ჩაჰკოცნა ბავშვი და ჩააწვინა პატარა ლოგინში თავის უმცროს ბავშვთან ერთად. მეორე დღეს შეშის მკრეღმა აიღო ის არა-ჩვეულებრივი წაპოსასხამი და ჩასდო დიდ სკივრში; იქვე შეინახა მისმა ცოლმა ქარვის კრიალოსანიც, რომელიც ბავშვს ება ყელზე.

ამ გვარად, ვარსკვლავის შვილი იზრდებოდა შეშის მკრეღის ბავშვთან, სკამდა მათ სუფრაზე და თამაშობდა იმათთან ერთად. და წლითი-წლობით ისე კეთდებოდა და მშვენიერდებოდა, რომ მეზობლები გაოცებულნი იყვნენ: თითონ რომ



შვეგვრემანნი იყვნენ, ეს თეთრი და სათუთი იყო, როგორც სპილოს ძვალი; მისი ხუჭუჭი თმა ჰგვანდა ფოთლებს, ლეებს, ბაგენი — წითელის ყვავილის ფოთლებს, თვალები თითქოს ანკარა ნაკადულის პირად გაშლილი იააო და ტანით — რა შენი ნარგვიზი მინდვრად, რომელსაც ცელი არ უნახავს.

მხოლოდ სილამაზე საკეთილო არ იყო მისთვის. გამაყადა, გამედიდურდა, გულქვაფი და თავმოყვარე შეიქმნა. სძაგდა შეშის მჭრელის ბავშვები და სხვებიც, რომელთაც რაცხდა დაბალის შთაჰომავლობისად და თითონ კი თავისთავს — კეთილშობილად და ვარსკვლავის წარმონაშობად. დაიწყო მათი ბატონობა და ისე ექცეოდა, როგორც თავის მონა-მოსამსახურეთა. ღარიბები, უსინათლონი, სახიჩარნი და საზოგადოდ უბედურნი არ ებრალებოდა; ესროდა ქვებს და შარა გზისაკენ ერეკებოდა, სხვაგან გაიწოდეთ ხელი მოწყალებისათვისაო; და ვერაფერს საბრალოთაგანი ველარ ბედავდა ამ სოფელში მეორედ მოსვლას სამათხოვროდ. ვარსკვლავის შვილს უყვარდა მხოლოდ სილამაზე. დასცინოდა სუსტსა და დავარდნილს, სასტიკად იგდებდა მასხარად; თავის თავი კი უყვარდა და ზაფხულობით, როცა ქარი მიიძინებდა, ხშირად მიწვებოდა წყლის პირად მღვდლის ბაღში, სიამოვნებით უცქეროდა თავის სახეს და სტკებოდა თავის სილამაზით. შეშის მჭრელი და მისი ცოლი ხშირად უჯავრდებოდნენ.

— ჩვენ ასე არ გექცეოდით, როგორც შენ ეპყრობი უბადრუკებს, რომელთაც არაფერი არ უწყობს ხელს, — ეუბნებოდნენ: — რათა ხარ აგრე გულ-ცივი და სასტიკი იმათთვის, ვისთვისაც შეწყალებაა საჭირო?

ხშირად მოხუცი მღვდელი მიიწოდებდა ხოლმე და სცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის სიყვარული ყველასი და ეტყოდა: ბუზი შენი დაა, ნუ შეურაცხყოფ. ფრინველთაც, რომელნიც ტყეში დაფრინავენ, მინიჭებული აქვთ თავისუფლება. ნუ იჭერ შენდა გასართობად. ღმერთმა შექმნა მიწის კია და მუდო და ყოველივეს მიუჩინა თავისი ალაგი. რის-



თვის შეგაქვს მწუხარება ღვთის ქვეყანაში? საქონელიც კი მინდვრად აღიდებს უფალს! მაგრამ ვარსკვლავის შვილი არაა, თარ ყურადღებას არ აქცევდა ამ სიტყვებს; მხოლოდ იღუშებოდა ან იცინოდა და, დაუბრუნდებოდა რა თავის ტოლებს, ძალ-მომპრებდა მათ შორის. ბავშვებიც ემორჩილებოდნენ, რადგან იყო ლამაზი და ცქვიტი, იცოდა ცეკვა, სტვენა და დაცრა სალამურისა. და, საცა უნდა წაეყვანა ვარსკვლავის შვილს, მორჩილებით მისდევდნენ; რაც უნდა ებძანებინა, ასრულებდნენ. როცა წამწვეტებული კალმით უჩხვლეტდა მუდოს ისედაც გამჭრალ თვალებს, ისინი იცინოდნენ, და როცა ქვებით ჰქოლავდა კეთროვანთ, მაშინაც იცინოდნენ. ყველაფერში ის იყო მათი მბრძანებელი და ბავშვებიც ისევე გაგულქვავდნენ, როგორც თვითონ იყო გაგულქვავებული.

და აი ერთხელ სოფლად ჩამოიარა ერთმა მათხოვარმა დედა-კაციმა. სულ ძონძებში იყო გახვეული და ფეხები დაკაწრული ჰქონდა ქვიან გზაზე სიარულითა; მეტად საბრალო იყო. დაქანცული მიმჯდარიყო წაბლის ხის ძირში. დაინახა თუ არა ვარსკვლავის შვილმა მათხოვარი დედა-კაცი, უთბრა ამხანაგებს: — შეხედეთ! აიმ ამწვევებულ ლამაზ ხის ძირას ზის ძონძებით შემოსილი მათხოვარი. წავიდეთ, გავაგდოთ იქიდან, რადგან მეტად უშნოა, მახინჯიაო. და მიუახლოვდა რა, დაუწყო ქვების სროლა და დაცინვა; დედა-კაცი კი შიშით უცქეროდა და ვერ აშორებდა თვალებს. დაინახა შეშის მკრეღმა, რომელიც იქვე ახლოს შეშასა სჩებდა, მივარდა ვარსკვლავის შვილს და დაუწყო ლანძღვა.

— მართლაც გულქვა ყოფილხარ და შებრალება არა გქონია. რა დაგიშავა ამ საბრალომ, რომ ასე სასტიკად ეპყრობი?

ვარსკვლავის შვილი გაწითლდა სიბრაზითა, დაჰკრა ფეხი მიწას და წაილულდულა:

— შენ ვინა ხარ, რომ პასუხის გებაში მაძლევ ჩემის



საქციელისათვის? მე შენი შვილი არა ვარ, რომ შენი ბრძანება შეევასრულო!

— მართალსა ბრძანებ, უპასუხა შეშის მკრელმა, — მაგრამ მაინც მე შეგიბრალო, როცა ტყეში ვიპოვე.

გაიგონა თუ არა ეს სიტყვები დედაკაცმა, შეჰკივლა და უგრძობლად დაეცა. შეშის მკრელმა აიყვანა საბრალო, წაიღო სახლში და მისმა ცოლმა მოუარა. როცა მათხოვარი გონს მოვიდა, დაუდგეს წინ სასმელ-საკმელი და სთხოვეს დანაყრებულები და დამშვიდებულები.

ქალმა არცა სკამი და არცა სვა და ჰკითხა შეშის მკრელს: — შენ სთქვი, ვგონებ, ბავშვი ტყეში ვიპოვეო. ამ ათის წლის წინად მოჰხდა ეგა განა?

— დიაღ, ათის წლის წინად ვიპოვე ტყეში, — მიუგო შეშის მკრელმა.

— თან არა ჰქონდა-რა შესანიშნავი? — წამოიძახა ქალმა, არ ჰქონდა ყელზედ ქარვის კრიალოსანი და არ იყო გახვეული ვარსკვლავებით მოქარგულ ოქრო მკედის წამოსასხამში?

— სწორედ ეგრე იყო, — მიუგო შეშის მკრელმა, — მართალს ამბობ, ამოიღო სკიერიდამ წამოსასხამი და კრიალოსანი და აჩვენა მათხოვარს.

დედაკაცმა სიხარულით ტირილი დაიწყო: — ეს ისაა, ჩემი შვილი, რომელიც ტყეში დავკარგე, გთხოვ, მომიყვანო ჩქარა, მაგის ძებნაში მთელი ქვეყანა შემოვიარე მე, უბედურმა. შეშის მკრელი გამოვიდა ცოლითურთ სახლიდამ, დაუძახა ვარსკვლავის შვილს და უთხრა:

— წადი სახლში, იქ დედაშენი მიგელოდება.

ვარსკვლავის შვილი საჩქაროდ შევიარდა სახლში გაკვირვებულ-გახარებული. მაგრამ დაინახა თუ არა ის, ვინც უცდიდა, სიძულვილი იგრძნო და დაცინვით წაილაპარაკა: სად არის დედაჩემი? მე აქ არავის არა ვხედავ, ამ ბინძურ მათხოვარს გარდა?!

ქალმა უპასუხა: — მე ვარ შენი დედა.



— ხომ არ შეშლილხარ, რას ლაპარაკობ? — შესწმინდული მოსულმა ვარსკვლავის შვილმა.

— მე შენი შვილი არა ვარ; შენ ხომ საძიგელი დაძონძილი მათხოვარა ხარ, წაეთრიე აქედამ, რომ აღარ დავინახო შენი სულელი სახე.

— არა, სწორედ ჩემი შვილი ხარ, ხელში მეჭირე და ისე მიმყავდი ტყეში, — განაგრძო საცოდავმა, დაეცა მუხლებზედ და გაუწოდა ხელები. — მცარცველებმა მომტაცეს შენი თავი და შემდეგ გადაგადგეს, რომ დაღუპულიყავ. იმ წამსვე გიცან, როგორც-კი დავინახე, ვიცანი შენი ნიშნებიც: ოქრო მკედლით მოქარგული წამოსასხამი და ქარვის კრილოსანი. გთხოვ წამომყვე, დაგეძებდი ყველგან; ქვეყანა შევძარი, წამოდი ჩემთან, ჩემო შვილო, მინდა გავძღე შენის სიყვარულით.

ვარსკვლავის შვილი ადგალიდამ არ იძვროდა, ჩაკეტა თავის გულის კარები ამ ადამიანისთვის და ოთახში მხოლოდ მისი ქვითინი გაისმოდა.

ბოლოს შვილმა დაიწყო ლაპარაკი და იმის ხმაში გამოკრთოდა მკაცრად და ცხადად: — თუ მართალია, რომ შენ ჩემი დედა ხარ, მერჩია, აქ არ მოთრეულიყავ და არ შეგერცხვინე; ხომ ჰხედავ, ჩემი თავი ვარსკვლავის შვილი მგონია და არა შვილი მათხოვარისა, როგორც შენ მარწმუნებ. წადი, წაეთრიე და თვალით ნულარ დამენახვები ამას იქით.

— უიმე, შვილო, — დაედრიჯა მათხოვარი, — ნუ თუ არ მაკოცებ წასვლის წინად? რამდენი ტანჯვა-ვაება გამომივლია შენს ძებნაში?!

— არა, — მიუგო შვილმა, — მეტის მეტად უწნო ხარ, გველსა და ბაყაყს უფრო ვაკოცებ, ვიდრე შენა.

ქალი ადგა და ტირილით მიაშურა ტყეს. ხოლო ვარსკვლავის შვილმა, შეჰხედა რა მიმავალ ქალს, გაიხარა და მიცქრიალდა თავის ტოლ-ამზანაგებთან სათამაშოდ.

როცა ბავშვებმა დაინახეს, დაცინვა დაუწყეს:

— დაიხედე შენ თავზე! საზიზღარი ხარ, როგორც ბა-



ყაყი და საძაგელი, ვით გველი. წადი აქედან, არა შენთან თამაშობა.—და გააძევეს ბალიდგან.

ვარსკვლავის შვილი მოიღუშა. „რას მეუბნებიან?—გაიფიქრა მან.—მოდი წავალ წყაროსთან, დავინახავ ჩემ სახეს, ის შეტყვის, ლამაზი ვარ თუ არა“.

მივიდა წყაროსთან, ჩაიხედა წყალში და ევა, საშინელე-ბავ!—მართლა ბაყაყს დამსგავსებოდა და, ტანი შემოსოდა გველის ქერქითა.

ვარსკვლავის შვილი დაეცა ძირს და მოსთქვამდა:—აღბად ჩემის შეცოდებისათვის მომივიდა, დედა უარყვავ, გავაგდე და იმიტომ; ამაოდ და მკაცრად მოვებუყარ; ახლავე წავალ მის მოსაძებნად, მთელ დედა მიწას შემოვივლი და, მანამ არ დავცხრები, სანამ არ მოვძებნი.

შეშის მკრელის პატარა გოგო მიუახლოვდა, დაადო ხელი მხარზედ და უთხრა:

— რა უყოთ მერე, რომ შენ წინანდელებრ ლამაზი აღარა ხარ? დარჩი ჩვენთან, არ დაგცინებ.

— არა,— მიუგო ბავშვმა,— მკაცრად მოვებუყარ დედა ჩემს და სამაგიეროდ ეს უბედურება მეწვია. იმიტომ უნდა წავიდე აქედან, მოვიარო კუთხით-კუთხე, ვიდრე არ მოვინახე დედას, ვიდრე არ გამოვთხოვ შენდობას და ისიც არ მაპატიებს ჩემ შეცოდებას.

და აი, გასწია კიდევ ტყეში და დაუწყო დედას ძაბილი, მუდარა, დაბრუნებულიყო, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა. მთელი დღე ასე გაატარა. როცა მზე ჩაიწურა, მიწვა გამხმარ დოთლებზედ დასასვენებლად. ფრინველნი და მხეცებიც-კი იგონებდნენ მის სიმკაცრეს და ჯანზედ გაურბოდნენ; მარტოდ მარტო დარჩა. მხოლოდ ბაყაყი შესცქეროდა და კლაკენით მოსრიადე ექიდნა არ ერიდებოდა. დილა აღ-რიან გაიღვიძა, მოსწყვიტა ხილამ რამდენიმე მწარე ხილი და ჰამა დაუწყო. შემდეგ გაუდგა გზას დაბურულ ტყე-ში თვალცრემლიანი. ყველას, ვინც გზაში შეჰხვდებოდა,



ეკითხებოდა, დედა ჩემი ხომ არ გინახავთ სადმე ^{საქართველოში} თაო. მუღოს შეეკითხა:—ქვემძრომი ხარ, მითხარ იქ ხომ არ არის დედა ჩემი?

— თვალები შენ არ ამოთხარე?—მიუგო მუღომ, —როგორღა შემძლიან მე დედაშენის დანახვა? ჭვინტა ჩიტსაც მიჰმართა:—მაღალ ხეების წვერებს თავს ევლები და მთელ ქვეყანასა ჰხედავ, მითხარი, ხომ არ დაგინახავს სადმე დედა ჩემი?

მაგრამ ჭვინტამ უპასუხა:—შენ არ იყავ, ფრთები შემაკვეცე და ახლა სადღა შემძლიან ფრენა?

პატარა თრითინასაც შეეკითხა, რომელიც ხის ფულუროში სცხოვრობს:—სად არის დედა ჩემიო?—შენ ხომ დედა მომიკალ, —მიუგო თრითინამ. —შეიძლება დედაშენსაც სასიკვდილოდ დაეძებო? ვარსკვლავის შვილმა თავი ჩაჰქინდრა, ატირდა, შესთხოვა შენდობა ღვთის კმნილებათ და განაგრძო გზა ტყეში მთხოვარა ქალის საძებრად. მესამე დღეს განვლო მან მთელი ტყე და დაეშვა ბარად. როცა სოფლად დადიოდა, ბავშვები დასცინოდნენ და ქვებს ესროდნენ; და სოფლები არ აძლევდნენ ბელლებში ღამის გათევის ნებას, რომ არ დაენახვა ხორბალი, იმოდენად საზიზღარი იყო; მუშებიც აგდებდნენ და არ იბრალებდნენ. მათხოვარ ქალისა, რომელიც მისი დედა იყო, ვერსად ვერა გაიგო რა, თუმცა მთელი სამი წელიწადი დაეხეტებოდა აქა-იქ; ხშირად მოეჩვენებოდა, აგერ მიდისო, გამოეკიდებოდა, უძახოდა, სანამ წვეტიანის კაეის ნატებები არ დაუსისხლიანებდნენ ფეხის გულებს. მაგრამ ვერ ეწეოდა და გზის გასწვრივ მცხოვრებნი კი არწმუნებდნენ, არც დედა შენი და არც იმის მსგავსი ვინმე არ გვინახავსო. თან დასცინოდნენ მის უბედურებას.

სამის წლის განმავლობაში დაეხეტებოდა ასე და არსაით სიყვარული, არსაით თანაგრძნობა, არსაით სიბრალოლი!

ერთხელ საღამო ეამს ვარსკვლავის შვილი მიადგა ერთს ქალაქს, რომელიც წყლის პირად კედლებით იყო ამოშენე-



ბული; ქალაქს შესავალი კარი ჰქონდა. მიადგა დაქვეითებულ ფეხებ დასისხლიანებული და ჰლამოდა შიგ შესვლას, მაგრამ დარაჯად მდგომნი ჯარის კაცნი გადაეღობნენ წინ და მკვახედ უთხრეს:

— რა გინდა აქა?

— დედას დავეძებ, გთხოვთ გზა მომცეთ; ეგებ ამ ქალაქში იყოსო. მაგრამ იმათ დაცინვა დაუწყეს და ერთმა მათგანმა დასლო ძირს ფარი და უთხრა:

— ვეკვობ, რომ დედაშენს იამოს შენი დანახვა; შეხედულეებით ტბის ბაყაყხედ უარესი ხარ და ტალახში მძრომის იქედნისა. გასწი, წაეთრიე აქედამ! ამ ქალაქში დედა შენი არ სცხოვრობს. მეორე, ყვითელ ბაირალიანი დარაჯი შეეკითხა:

— ვინ არის დედა შენი და რად დავძებ?

— დედა ჩემი ჩემსავით მათხოვარაა, — მიუგო ვარსკვლავის შვილმა, მე კუდად მოვექვეცი და გთხოვთ შემიშვათ, რათა შენდობა მოვთხოვო, თუ ვინიცობაა ამ ქალაქში აღმოჩნდა. მაგრამ დარაჯებმა მუდარა არ შეუსრულეს და დაუწყეს იარაღით ჩხლეტა.

ატირებულმა პირი უკანა ჰქნა დასაბრუნებლად, მაგრამ უეცრად წამოესწრო ერთი კაცი ოქროსფერის ბეგთარით ტანზედა და ფრთიანის ლომით ჩაფხუტზედ.

ამ კაცმა ჰკითხა დარაჯებს:

— ვის უნდოდა ქალაქში შესვლა.

იმათ მიუგეს:

— ამ მაწანწალას, მათხოვრის შვილს. ჩვენ გავაგდეთ.

— არა, — სიცილით წამოიძახა ამ კაცმა, მოდი მონად გავყიდოთ ეს საძაგელი ქმნილება. ერთ თასს ღვინოს ხომ მოგვეცემენ.

იქვე მიმავალი ბოროტის სახის მოხუცი მიუბრუნდა იმათ და უთხრა: მე მომყიდეთ მაგ ფასად, და მისცა რა საზღაო, ჩაჰკიდა ხელი ვარსკვლავის შვილს და წაიყვანა ქალაქში.

გაიარეს მრავლად ქუჩები და მიადგნენ პატარა კარებს,



რომელიც გამოკრილი იყო კედელში ბროწეულის ტიპის ქვეშ. მოხუცი შეეხო კარებს იასპის ბეკდით. კარები გაიღო და ხუთ ბრინჯაოს საფეხურით ჩაეშენენ ქვეით ბაღში, რომელიც გაბარდული იყო ყაყაჩოთი და სავსე გამომწვარ თიხის მწვანე თასებით. მოხუცმა ამოიღო თავის დოღბანდიდამ კრე-ლი აბრეშუმის ქალაღია, აუკრა თვალეზი ვარსკვლავის შვილს და ჰკრა ხელი. როცა ქალაღია მოჰხსნეს, თავისი თავი საპყრობილეში დაინახა. საპყრობილე განათებული იყო რქის ფანარით.

მოხუცმა დაუდო წინ მაგიდაზე ცოტა დაობებული ჰური და უთხრა:—სკამე!—და ცოტა მლაშე წყალი თასით და უთხრა:—სვი!—როცა ვარსკვლავის შვილი მოსულიერდა, მოხუცი გავიდა, ჩაკეტა კარები და ჯაჭვი დაადო ზედ.

ივანელი

(დასასრული იქნება)





უ რ ი ა

(მარტვილისა)

I



ზე დიდი ხანია მოეფარა გიმნაზიის ეზოს მალალ კედლებს და ნახი, მოალერსე ბინდი მოახლოვებულ საღამოსი ნელ-ნელა ეპარებოდა არგ-მარეს. გაკვეთილები გავათავეთ და შევიკრიბენით ეზოში სათამაშოდ. მაგრამ თამაშობა ვის აგონდებოდა? ყველა ერთად შეკრებილნი ჩურჩულებდნენ და ხელების შლით რაღასაც აღელვებულნი ლაპარაკობდნენ. უეჭველია, მოულოდნელი უბედურება რამ დაატყდათ თავზედ, უცნაურმა ამბავმა შებოჭა ყველანი და ერთად შეაგროვა. საქმე მართლაც რომ სახუმარო არ იყო. კლასს უბედურება ელოდა: მათემატიკის მასწავლებელმა ანტონ ანტონის ძემ ხვალინდელისთვის შეგირდებს ძნელი, არა ჩვეულებრივი ამოცანა მისცა. უნდა როგორმე თავი დაეხსნათ ამ უბედურებისგან. მაგრამ როგორ? ყველანი ავად გამბდარიყვნენ, რომ შინ დაეთხოვნათ? მაგრამ მასწავლებლები ამისთანა ცრუ ავადმყოფებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ და აღარაფერს უჯერებდნენ. დარჩენოდათ ერთად ერთი სახსარი: როგორმე მოეპარათ ამოცანა, რომ მომზადებულიყვნენ...



კარგი და პატროსანი, მაგრამ როგორ მოეპარათ? უკეთესი უფრო
 ლა გამხიარულდა, თვალები გაუბრწყინდათ და ყველანაირად
 ხმად იმეორებდნენ ერთსა და იმავე სახელს. გაისმა ძაბილი:
 „ხაიმ!... გერბკო!... აქ მოდი, აქა, აქააა! .. იფიქრებდით,
 ათს,—ან ოცს აღამიანს უძახიანო, მაგრამ ნამდვილად-კი ერთს
 ეძახდნენ: დათიკო გურვეისს, საუკეთესო შეგირდს და ანტონ
 ანტონის ძის საყვარელ მოწაფეს, რომლის ბავშვებსაც დათიკო
 ამზადებდა. დათიკომ დაუყოვნებლივ გასწია ამხანაგებისკენ.
 მაგრამ აღბად მალე ვერ მივიდა, რადგანაც კიდეც გაისმა:
 „ურია!.. ჰაი, ურია!... გადმოდგი რალა ფები“.

ამისთანა მეტი სახელი ნუ გააკვირვებს მკითხველს, რა-
 დგანაც სკოლას თავისი კანონები ჰქონდა, რომლის ძალით
 არც ერთი ამხანაგი არა რჩებოდა უმეტე სახელოდ. ამიტომაც
 ყველასთვის საყვარელ, გულკეთილ და მოსიყვარულე დათიკო
 გურვეისს ეძახდნენ ურიულ სახელებს, როგორც ურიას; თავდა-
 პირველად ზოგი კათხას უძახდა, ზოგი „კუნძს“ და ზოგი-კი
 „ისკარიოტელს“. ეს სახელები ბოლომდის შერჩა.

— გაიგონე, ურიავე,—მიუბრუნდნენ ამხანაგები.

ახლად მოსული სმენად გადაიქცა. იმისი გაბრწყინვალე-
 ბული სახე კეთილად იღიმებოდა, თითქოს ეუბნება: ურია!
 განა ურია აღამიანი არ არის?

ამხანაგების აღელვებული ლაპარაკი და არა-ჩვეულებრივი
 სახის მეტყველება უმტკიცებდა, რომ საქმე სახუმარო არ იყო.

— გაიგონე, გა-ი-გო-ნე?—ჩურჩულებოდნენ ამხანაგები.

— შესმის!—ჩურჩულითვე უბასუხა დათიკომ.

— დაიხსენი კლასი!

რაო? კლასი დაიხსენიო? რომელი კეთილი ამხანაგი იტ-
 ყვის ამაზედ უარს? რასაკვირველია, არც ერთი, მით უმეტეს
 დათიკო გურვეისი, რომელიც არა ერთხელ იფიწყებდა თავის
 თავს სხვებისთვის... ახლაც, ამ წუთში, იმისი გაწითლებული
 მოღიმარი სახე ამტკიცებდა, რომ თანახმაა ყველაფერისა,
 ოღონდ-კი ამხანაგებს ეშველოს რამე.



ეროვნული
გენერაციის

— რა ამბავია? — ჩაეკითხა დათიკო.

— გამოცანა მოი-პა-რე!

მეტი არაფერი? ესე იგი ვაბედე, მოიგონე რამე ხერხი, შესწირე შენი თავი და დაიხსენი კლასი. ამის გაგონებაზედ დათიკოს წარბიც არ შეუხრია და კვლავინდებურად გამბედავად გამოიკტირებოდა. არც მოსალოდნელმა დასჯამ, არც სასწავლებლიდან დათხოვნამ არ შეარყია იმისი ნამდვილი ამხანაგური გული. — „ამხანაგობისთვის, „კლასისთვის“, თუნდა მთელი წლით ჩამსვან ბნელ-ოთახში“, — ამბობდა იმისი დიდრონი, ცისფერი თვალები. — მაგრამ რა? ვის მოვპარო? ყველაფერი აუხსენით. რასაკვირველია, ანტონ ანტონის ძეს, რომელსაც უხაროდა ჩვენი ტანჯვა; ტყის ნადირებს გვეძახდა, „ვირებს“, და ამასთანავე არა სჯეროდა ჩვენი მუცლის ტკივილი, თითქოს მართლა და შეუძლებელი ყოფილიყოს. მართალია, თითქოს უყვარდა ეს „ურია“, კარგ შეგირდად სთვლიდა და სჯეროდა ყოველი მისი სიტყვა. ეს ასეა... მაგრამ ნუ დაივიწყებთ, მაინც დათიკოს ძალიან ეზარებოდა ამოცანის მოპარვა.

— დაგვიხსენ, „ურიავ“, დაგვიხსენ! — ვემუდარებოდით დათიკოს.

ურია უარს არ ამბობდა; იმისი სახე, თვალები, მთელი მისი არსება ამტკიცებდა, რომ ეს ასე არ იყო, მხოლოდ თავი, იმისი ცოტა დიდი თავი იღუნებოდა ძირს, და ლოყებზედ სირცხვილის, თუ, არ ვიცე, შიშის სიწითლემ გადაჰკრა.

II

საწყალი დათიკო გურგვისი! ტყუილად-კი არ ჩაღუნა თავი, ტყუილად-კი არ წითლდებოდა საცოდავი!... შიშით, მბდალობით არ მოსდიოდა. ჩვენთვის ყველაფერს გასწირავდა.. „კლასისთვის“? აბა, რა პასუხია! მაგრამ ანტონ ანტონის ძე, რომელიც .. და ეხლა მოჰპაროს ამოცანა?!.. ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს? ოჰ, არა, შეუძლებელია! მაგრამ კლასი, რომელიც ჩემგან ელის შველას?... აქკი ყველაფერს

ივიწყებდა დათიკო. თავჩალუნული დადიოდა ცხვირს წინანდელზედ გულმოდგინედ იჩიქნებდა ბრძოლა იყო მის გულში, ბრძოლა, რომელიც გამოუცდია, მხოლოდ იმიტომ რომ „ურია“ იყო. მართალია, ჩვენც გვიყვარდა, მაგრამ ეს სიყვარული არ იყო ისეთი, როგორც შეჭფეროდა ადამიანს, და არა ურიას. მაშასადამე, დათიკო მთლად არ იყო ჩვენი. ამასთანავე დათიკო ურიებსაც არ ეკუთვნოდა მთლად, რადგანაც სჯამდა ლორის ხორცს, ამხანაგობდა ქრისტიანებთან. იმიტომ იქიდანაც ხელსაჰკრავდნენ ამ კეთილ ადამიანს და აქედანაც... იმის კეთილ გულს ერთნაირად უყვარდა ყველა, ერთნაირად აპატებდა ხოლმე დანაშაულს, და ეს იფარავდა საწყალს ორისავე შხრის რისხვისაგან. ჩვენ-კი დათიკო მუდამ ერთსა და იმავეს გვიმეორებდა: ურია? განა ურია ადამიანი არ არის? ამას ამტკიცებდა თავის ნაწი ქცევით და სიყვარულით. ცდილობდა, ორივე მხარეს შერიგებავს, მაგრამ ამაოდ, იმის ლაპარაკს გასაღალი არა ჰქონდა.

III

ანტონ ანტონის ძე ტყვიასავით შემოვარდა კლასში. თვალები სიხარულით უბრწყინავდა, თავით-ფეხამდე ხარობდა და ხელების სრესით ბოლთასა სცემდა კლასში. შეგირდები არ უყვარდა და დიდად კმაყოფილი იყო, რომ მოიგონა იმისთანა გამოცანა, რომელსაც ვერც ერთი ვერ გააკეთებდა. შეგირდებმა ჩაიწერეს რვეულში ყველაფერი და გულ-მოდგინედ შეუდგნენ საქმეს. ანტონ ანტონის ძე კი არწივივით თვალს ადევნებდა, რომ არ ელაპარაკნათ და ერთმანეთის რვეულებში არ ჩაეხედნათ. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ეს არ მოჰხდა. ყველანი თავ-ჩალუნულნი იყვნენ.

ზარის ხმა გაისმა. რვეულებიც წაიღეს. ყველა როგორღაც უხერხულად ჰგრძნობდა თავს; ჩვენი დათიკო გაფითრებული, თავჩალუნული დადიოდა. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ყველამ უშეცდომოდ დასწერა, და აი სწორედ ეს იყო



უბედურება. ამისთანა ძნელი იმოცანა, რომელსაც ვერ გირღებოდა ვერ გააკეთებდნენ სხვა დრ-ს, ახლა უშეცდომოდ დასწერეს უკანასკნელებმა ც-კი, ე. ი „ტყის ნადირებმა და ვირებმა“. რა საკვირველია, ანტონ ანტონის ძე მაშინვე მიხვდებოდა ჩვენს ეშმაკობას და ვაი ჩვენი ბრალი! მართლაც, რამდენისამე დღის შემდეგ, ანტონ ანტონის ძე, ტყვიასავით კი არ შემოვარდა კლასში, დინჯად და აუჩქარებლივ შემობრძანდა. დაცინვით ათვალეირებდა ჩვენს აღელვებულ, ნიჟარა სახეებს. შიშმა აგვიტანა. ვიცოდით, რაც გველოდა, და შიშით თვალეზ-გაქყეტილნი შევეცქეროდით მასწავლებელს. კლასში ისეთი დუშილი იყო, თითქო სამარეაო.

— „ვირებო, დაფასთან მიეთრიენით!“—დაიყვირა ანტონ ანტონის ძემ. ამის გაგონებაზედ მოზრდილ-მოსული მხარ-ბეკიანი შეგირდები, ანუ ვირები გაემართნენ დაფისკენ. სულ რვაი იყვნენ.

— დასწერეთ!—აქ მასწავლებელმა დააწერინა ამოცანა, რომელიც სამის დღის წინად ყველამ ისე კარგად გავაკეთეთ. პირველმა „ვირმა“ უშეცდომოდ დასწერა მთელი ამოცანა.

— ეგრე რად არის? — ჰკითხა ანტონ ანტონის ძემ.

ვირმა მხრები შეიშმუნა.

— თქვენ?—მიუბრუნდა იგი მეორეს, მესამეს... მეოთხეს...

მაგრამ ვერც ერთისგან პასუხი ვერ მიიღო.

გაჩუმებული მასწავლებელი მკაცრად უყურებდა გაწითლებულ ვირებს, რომელნიც თავდახრილნი ცხვირს იჩიჩქნიდნენ.

— მაშ, როგორ გააკეთეთ ასე კარგად? ვინ მოგცათ ამოცანა? აჰ დროს, ჩემდა უნებურად, შევხედე „ურჩის“; საცოდავი გადაფითრებული, ტუჩებ-გალურჯებული იჯდა და არავის უცქეროდა.—ვინ მოგცათ? უფრო მკაცრად ჩაეკითხა მასწავლებელი. ვირები ხმას არ იღებდნენ.



— დასხედით! კარგი! ერთს დღესა და ღამეს მნქქქქქქქქქქქ
ში იქნებით. მდუმარებაა. ანტონ ანტონის ძე რაღასაც ელოდა,
გვიცქეროდა და ხმას არ იღებდა.

— მაშ, აგრეა?— ბოლოს დაიწყო ტკეპნით— ყველამ უშე-
ცდომოდ გააკეთეთ?! ჰმ! ყველამ! ძალიან კარგი... მიხა-
რიან, სწორედ რომ გიჯობათ... ყოჩაღ!.. ყოჩაღებმა თავები
ჩაღუნეს.

— დიად, ვირებო, ყველამ კარგად დასწერა, ერთის გარდა!

— რაო? ვინ არის. ჩვენ ყველამ ერთმანეთს გადავხედეთ.

— და ეს ერთი, — ნელ-ნელა, ტკეპნით ამბობდა ანტონ
ანტონის ძე — ეს ერთი პირველი შეგირდია — დავით გურვეისი.
რად დასწერეთ, გურვეის, ვგრე ცუდად ამოცანა, როდესაც
შეგეძლოთ თქვენც კარგად გაგეკეთებინათ? — ჩაეკითხა მას-
წავლებელი. დათიკო მთლად კანკალებდა და სკამს ეჯაჯგურე-
ბოდა. — განძრახ განა? — განაგრძო გამოკითხვა მასწავლებელ-
მა. გურვეისი ხმას არ იღებდა. თვალები კრემლებით აევსო.

— ჩემს ჩუმად ჰნახე ამოცანა განა?

„დიად“, — ძლივ ძლიობით მიუგო „ურიაშ“.

— და კლასს მიეცი?

— მივეცი.

ანტონ ანტონის ძეს თვალები აენთო. — მაშ, რად დას-
წერე ვგრე ცუდად? — გურვეისი ტორტმანებდა.

— რადა მეთქი?! — უფრო მკაცრად ჩაეკითხა მასწავლე-
ბელი.

— იმიტომ... იმიტომ... რომ მარტო მე მიმელო თქვენ-
გან სასჯელი, — მიუგო ურიაშ და დაიწყო ქვითინი. საწყალი!
ეს-ლა მოიგონა, რომ ესიამოვნებინა შეგირდებისათვისაც და
მასწავლებლისათვისაც. როგორც წინად, ისე ახლა გასწირა
თავი, რომ შეერიგებინა მოპირისპირენი. •ქ-კი ვიცანით და-
თიკო: სხვებისთვის თავდადებული, კეთილი, პატიოსანი!

„ურიაშ“, ჩვენმა მხსნელმა ურიაშ დაანება გიმნაზიას
თავი და გადავიდა სხვა სასწავლებელში.



IV

„ურის“ შევხვდით კვლავ უმაღლეს სასწავლებელს როგორც გიმნაზიაში, ისე აქ, დათიკო ითვლებოდა საუკეთესო სტუდენტად. თუმცა ძალიან ხელ-მოკლე იყო და საქირო წიგნებს ვერ იძენდა, მაინც ყველაზედ წინ იყო სწავლაში გვიკვირდა, როგორ ასწრობს საწყალი თავის სწავლას, როდესაც მუდამ საღამოს გაკვეთილებზედ დარბის ლუკმა პურის საშოვნელადო?

— ამისთანა მხნეობა, — გვეუბნებოდა ხოლმე დათიკო — ძველ-რბილში მაქვს გამჯდარი. ჩემი მამა, პაპა, მამის პაპა, პაპის პაპა ყველა სიღარიბეში აღიზარდა, მაგრამ რა დაუშავდათ მაგით? ჩვენი ურია თავის შრომით მოგებულ ხმელ პურზედ გადაივლის და კი არ ითხოვს, არ მოიპარავს. აი რისთვის არიან ებრაელები შრომის მოყვარენი. დათიკოს მამა, თერძი მოსე თავის მარჯვენით ჰკვებავდა დიდ სახლობას. არა ერთხელ უფიქრია თერძს, რა ტკბილად გაივლის ადამიანის ცხოვრება, რომ ერთმანეთი უყვარდეთ ყველას და სიტყვები: „ურია“, „ქართველი“, „თათარი“, საფრთხეთ არ გადაქცეულიყოსო. მაგრამ ყველაზედ მეტად თავის საყვარელ შვილის ბედი აფიქრებდა. „როგორ დავიფარო ჩემი დათიკო ცხოვრების უსამართლობისაგან, — ფიქრობდა მოხუცი, — ვიცი, ვიცი, რომ იმასაც არ ასცდება დამცინავი სახელი „ურია“. რადა? ნუ თუ ურია ადამიანი არ არის? ნუ თუ ჩვენ მართლა დავიმსახურედ ქვეყნის ასეთი სიძულვილი? არა და არა! ჩემი შვილი ურიაა, მაგრამ ადამიანია, რომელსაც შეეძლება ცოტა ოდენი სარგებლობა მაინც მოუტანოს კაცობრიობას. ღმერთო, ღმერთო! შენ დაიხსენ და დაიფარე ჩემი ტანჯული, ჩაგრული ვარი! — მოსემ გადასწყვიტა მიეცა თავისი დათიკო სასწავლებელში. მეორე დღესვე მივიდა სკოლის უფროსთან და სთხოვა, მიიღეთ ჩემი შვილი, რომ უბრალო მათხოვარა არ გახდესო. გულკეთილი უფროსი, რასაკვირველია, მაშინვე დასთანხმდა და იმ დღიდან დაიწყო დათიკომ სწავლა. ეხლა-



კი უკვე უნივერსიტეტშია. ყველა ურია მისთვის რწმუნებულია. ბარი იყო, რომელსაც შევლა და შემწეობა უნდა: ზოგს წიგნს აძლევდა საკითხავად, ზოგს სკოლისთვის ამზადებდა; შევლოდა ყველას, რითაც-კი შეეძლო. მიყრუებული ქალაქი გამოფხიზლდა; ახალგაზრდობა სკოლისკენ მიისწრაფოდა, რომ იქ შეეტანა რაიმე ცოდნა ცხოვრებაში გამოსაყენებელი. ყველა სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებდა დავით გურვეისის სახელს. მართალია, მოხუცებულნი, ცოტა არ იყოს, ბუზღუნებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ახალგაზრდობა აღმერთებდა დათიკოს. უყვარდა თავისი ერი და ზრუნავდა იმის კეთილდღეობისათვის.

— არა, შენ ურია არა ხარ, — წამდა უწუმ ვეუბნებოდით ამხანაგებო, — შენში ებრაული არა არის-რა: ამის გაგონებაზედ დათიკო წითლდებოდა და ამაყად გვიპასუხებდა.

— არა, ურია ვარ. მე მიყვარს ჩემი ერი, მიყვარს ჩემი ტანჯული ხალხი, რომელსაც უდიერად სდევნიან. ვიდრე ისინი „ურიები“ არიან და არა ხალხი, მეც ურია ვიქნები. არ დავტოვებ მათ გაკირვებასა და უბედურებაში, რომელშიაც ჩააყენეს უგულო ადამიანებმა.

ქ. ბ.

(შემდეგი იქნება)





ეგნატე ნინოშვილი

(ი ნ ნ ო რ ო შ ვ ი ლ ი)

1859—1894

სამთარია. არე-მარეს თოვლის ზეწარი გადაჰფარებია. ქარი ჰქრის, ზუზუნებს. ხმა არსით ისმის: სოფ. ჩი-ბათის მცხოვრებთ ღრმად ჩასძინებიათ. მხოლოდ ღელეს გაღმა, ერთ ღარიბ ქოხს რაღაც სიციცხლის ნიშან-წყალი ეტყობა: იქ რაღაც არა ჩვეულებრივი ფაცი-ფუცით მამაკაცები, თუმცა ზამთრის სუსხია, დერეფანში ატუზულან.

— მომილოცავს, თომა, მომილოცავს! ვაჟია, ვაჟი! სერთო სიხარულია: ღარიბ თომასთვის პირველი ვაჟიშვილი ხომ ნუგეშია, ბედნიერებაა; ადრე მოესწრება, ადრე ამოუდგება მხარში.

რამდენისამე დღის შემდეგ პაწია მონათლეს, ეგნატე უწოდეს.

გაიარა ექვსმა თვემ. პატარა ეგნატე, ძონძებში გახვეული, ტახტის კუთხეშია მიგდებული; რა ესმის, თუ რა ამბავია მის გარშემო? ხელებს უაზროდ პარკყავს, ხან „აღუ“-ს ამბობს და ხან ილიმება. თავზე მამიდა ნინო დასდგომია და ღაპა-ღუპით კრემლები გადმოსდის: „შენ გენაცვალოს შენი მამიდა, ობოლი ხარ, ობოლი! დღეიდან დაგეკარგა სამუდამოდ დედა, ვეღარ გაიგონებ მის ტკბილს აღერსს. არც კი გრძნობ, რა უბედური ხარ, მაგრამ აი ჩემი თავი, მოგივლი, გენაცვალოს მამიდა, ვეცდები, ობლობა არ გაგრძნობინო“. ასე ეუბნებოდა მამიდა ნინო პაწია ეგნატეს, გულში იკრავდა

და მის ძონძებს მხურვალე ცრემლებით ჰნამივდებოდა. თქო გაიგო რამეო, თვალებში მისჩერებოდა.

დაობლდა წ თვის ეგნატე. მისი გული დედის აღერსით აღარ გამთბარა, დედის მკერდის დაკონების სიტკბოება ეგნატეს არ განუცდია; გაქირვების დროს დედის თანაგრძნობა და ნუგეში არ ჰღირსებია. ახლა ნაწოა დედის მაგიერი. მამიდა პირნათლად ასრულებს

იმას, რაც ცრემლით აღუთქვა ჰაწია ეგნატეს: უვლის, ჰზრდის, სკდილობს, რამდენადაც-კი მოსახერხებელია მათს სიღარიბეში, ეგნატეს არაფერი მოაკლოს, კარგად ასაზრდოვოს, კარგად ჩააცვას. სად იყო და სად არა წინო ეგნატესთვის ხან კვერცხს ამოაცოცებს ჯობიდან, ხან ვაშლს... ვაქარი ებრაელი ჩამოივლის, წინო ამოთვალთვალეზულ დედალს და-



ეგნატე წინოშვილი

იქერს, მიჰყიდის, აღებულ გროშებს ჩერის ყურში გამოწასკვავს და უცდის, ვიღრე მეორე მეფართლე ებრაელი არ ჩამოივლის, რო? ეგნატეს წითელი სახალათე უყიდოს.

წამოიზარდა ეგნატე; შვიდის წლისა გახდა. „ჩემს ეგნატესა არ იქნება, რომ ქახალდი არ ვასწავლო“, — დაიწყო წინომ ხშირ-ხშირად ლაპარაკი. ეგნატეს მამა წინოს სურვილს თანაგრძნობით მიეგება და შეეცადა ეშოვნა ანბანი. ერთხელ



თომა შინ დაბრუნდა და ნაგლეჯ ქალაღზე დაწერილი ანბანი მოიტანა.

მაისის მშვენიერი დღია იყო. ნინომ ეგნატე აღრე ააყენა, ერთ ხელში ანბანი დაიჭირა, მეორე ეგნატეს ჩაპკიდა და იქვე მახლობელ მდინარესთან მივიდა, ჩააყენა შიგ გაკვირვებული ეგნატე,*) მისცა ეს ნაგლეჯი ანბანი ხელში და ლაღდებით წარმოსთქვა: «ღმერთო, ბედნიერი წამი ქენი, ჩემი ეგნატე ნასტავლი გამოიყვანეო!»

ნინომ დააწყებინა ანბანი. იმ დღიღან სულ ანბანს ახეპირებინებღა. სხვას არაფერს აძღვეღა, არც აწერინებღა: ჯერ ეს გაიზებიროს, სხვა რამ რომ მივცე, გულის ყური «გაებნევა» და ვერაფერს ისწავლისო, იტყოღა ხოღმე ნინო.

აჰა, ეგნატემაღც გაიზებირა ანბანი. ახღა? არჩიეს, არჩიეს და გაღასწყვიტეს—ეგნატე მღვდღლის ოჯახში მიებარებინათ ხელზე მოსამსახურეღ, ხოღო მღვდღელს სამაგიეროღ წიგნი უნღა ესწავლებინა. მღვდღელმა მხედრული კითხვა თითონაღც არ იცოღა და ეგნატეს ხუცურისა და ლოცვების სწავღა დააწყებინა.

მღვდღლის ოჯახში ეგნატე დღღბანს არ დაუტოვებიღა. ერთს მშვენიერ დღეს წაიყვანეს და ფოთში დააყენეს იმავ მღვდღლის ძმის წუღთან. აქ ეგნატეს სწავღლის დრო სრულიაღდაღ აღარ ჰქონღა, როგორც თითონ მოგვითხრობს თავის დღიღურში, აუარებელ საქმეს აკეთებინებღენ; მკაღსაღკი აცხოზინებღენ. ვინ იცის, რამღენი ოფღი მოუწურავს, რამღენჯერ ხელები დაუთუთქავს პატარა ეგნატეს შუა ცეცხღზე კეცების ტრიაღით!

იმღენაღ აუტანელი შეიქნა ეგნატეს მღგომარეობა ამ ოჯახში, რომ რამღენისამე თვის შემღვეგ ფოთიღან ისევე სახღში მოიყვანეს. 1871 წ. თორმეტის წღის ეგნატე მიბარეს სოფღის სკოღაში.

*) იმერთში სწავღლის დაწყების დროს ჩვეუღებაღ აქეთ, ბავუგი მდინარეში ჩააყენონ და ანბანი ისე დააწყებინონ.



ქართული
ენების

— რა ამბავია, ეს ეგნატე ინგოროყვა (გვერდები: 137-138) ნინოშვილი ეგნატემ დაირქვა თავის მამიდის პატივსაცემლად), რომ ასე ხშირად აკლდება გაკვეთილებს?— იკითხა ერთხელ მასწავლებელმა, როცა ჟურნალში ინგოროყვას გვარი ამოიკითხა.— მასწავლებელო, ინგოროყვა დღეს, დილა აღრიან თნებს მიერეკებოდა სამწყესურში,— მიუგო ერთმა მოწაფემ.

მართლაც, ეგნატე ძალიან ხშირად აკლდებოდა გაკვეთილებს; ხან ხარებს მწყემსავდა, ხან — თნებს, მაგრამ გაკვეთილის უკოდინარობაში-კი ვერაფერს დაიკერდა; მოჭრეკავდა საღამოს საქონელს თუ არა, იმ წამსვე ამხანაგთან გადაცუნ-ცუნდებოდა, შეიტყობდა გაკვეთილებს, რასაც მოასწრებდა დღამებამდის, ისწავლიდა, რასაც არა, დილას აღრე გაიზვირებდა და მეორე დღეს მშვენივრად ეტყუდა მასწავლებელს.

1876 წელს ეგნატე თავის სამშობლო სოფელს მოშორდა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მეორე განყოფილებაში მიებარა. ისე მშვენივრად დაიწყო ეგნატემ იქ სწავლა, რომ ერთის თვის შემდეგ მესამე განყოფილებაში გადაიყვანეს. მაისში-კი მეორე კლასის ეგზამენი ჩააბარა. ეს სულ თავის საკუთარის ძალ-ღონით! არავინ მასწავლებელი არ ჰყოლია. ასე საკვირველ ნიქს და მეცადინეობას იჩენდა ეგნატე, მაგრამ მალე ბედმა უმტყუნა. 1878 წელს, როცა მესამედან მეოთხეში გადადიოდა, სასწავლებელში არეულობა მოხდა. ეგნატე მეთაურად იცნეს და გამორიცხეს.

სასწავლებლიდან გამორიცხვის შემდეგ, ეგნატემ ერთი წელი დაჰყო ოზურგეთში; დაბალ კლასების მოწაფეებს ასწავლიდა და მათგან აღებულ ორიოდე გროშით ცხოვრობდა. ამავ დროს თითონ სოფლის მასწავლებლობისთვის ემზადებოდა. მოემზადა კიდევ, 1879 წ. მოწმობა აიღო და გახდა სოფლის მასწავლებელი. დაიწყო სკოლაში მუშაობა, თავის სოფელში, მაგრამ მალე იგრძნო, რომ მეტი ცოდნა და მომზადება იყო საჭირო ამ მძიმე მოვალეობისათვის და გარდასწყვიტა, კვლავ განეგრძო სწავლა. საჭირო საშუალების



მოსაპოვებლად, ეგნატე ერთ მოიჯარადრეს შეუამხანგლად დასწავლა რკინის გზაზე იჯარით სამუშაო აიღო. ხოლო, როცა ეგნატემ დაინახა, რომ მოიჯარადრე ისე ვერ გამდიდრდება, ისე ვერაფერს შეიძენს, თუ არ ეცადა, რაც შეიძლება, ნაკლები ხელფასი მისცეს მუშას და სამუშაოში აღებულ ფულის მეტი ნაწილი თითონ დაიტოვოს, ეგნატე ჩამოშორდა თავის ამხანაგს.

1884 წელს ეგნატე ტფილისში ჩამოვიდა, ასოთ ამწყობად დადგა და ჯილდოს დღეში შეიდ კაპეიკს იღებდა. შემდეგ ისევ სოფელში დაბრუნდა და სოფლის მწერლად დადგა. აქ ბევრი უსამართლობა ჰნახა. თავის თვალთ განიკადა, თუ როგორ ავიწროვებენ ხალხს, როგორ ატყუებენ, როგორ სარგებლობენ ხალხის უვიცობით მამასახლისი, მწერალი და სხვანი. ეგნატეს გული აუღუღდა, ვერ მოითმინა და ამ ხალხის მატყუარების წინააღმდეგ ამხედრდა, რის გამოც მალე იძულებული შეიქმნა სოფლის მწერლობისათვის თავი დაენებებინა.

რა ექნა ეგნატეს? სწავლა უნდოდა, ცოდნა სწყუროდა. ბოლოს გადასწყვიტა საზღვარ გარედ წასვლა, სძლია ყოველსავე დაბრკოლებას და 1886 წელს გასწია საფრანგეთში. აქ ძლივს გასძლო ექვს თვეს. ნახევრად მშვიერი მეცადინეობდა და, როცა მეტის სიმშოლის ატანა აღარ შეიძლებოდა, დაუბრუნდა ისევ სამშობლოს.

ლუკმა პურისთვის ზრუნვამ აქაც მალე იძულებული გახადა ბათუმში მუშად დამდგარიყო. პირველად ათ შაურად დღეში ნავთ სადგურზე ზურგით თუნუქასა და ფიცარს ჰზიდავდა, შემდეგ როტშილდის ქარხანაში დღეში მანათლად ხელედაკაწრული ყუთებს სქედავდა. აქ ეგნატემ თავის საკუთარი თვალთ დაინახა და გამოსცადა, თუ როგორ სარგებლობდნენ მექარხნენი მუშის შრომით, როგორ ცდილობდნენ მათის ნაოფლარის ნაყოფი თვით ბევრი წაეღოთ და მუშისთვის მცირე ერგუნებინათ. ეგნატე ხომ პირდაპირ ეკ



ვეთებოდა ყოველ უსამართლობას, ესარჩლებოდა მის გამო მექარხნეებთან ხშირათ ახირება მოსდიოდა. ერთდ ჰატივი და სიყვარული მოიპოვა მუშებისა და ეგნატეს ისე უყურებდნენ, როგორც მფარველს, და დიდ მოსარჩლეს.

ეგნატე ბათუმში დიდს გაკირვებაში იყო. სცხოვრობდა ნესტიან ბინაზე, 7—8 კაცი მუშა ერთად ათევდნენ ღამეებს ტანთაც არა ეცვა-რა. აი რას სწერს თითონ ეგნატე მაშინდელ თავის ცხოვრებისას.

„1889 წ. ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო; დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა; უნდა ავმდგარიყავ დილის ოთხ საათზე, გამველო კარგა დიდი მანძილი ამ საშინელ დარში და მივსულიყავ ქარხანაში. ხან ქარხნის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარედ.“

1890 წელს დავდექი ნიკო ლოღობერიძის კანტორაში ზესტაფონს. მეტად ბევრი საქმე იყო. მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმართლე დავლუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად, თუმცა-ლა წინეთ იშვიათად ვიკოდი ავადმყოფობა.“

1892 წლიდან 1893 წლამდის ეგნატე ტფილისში ცხოვრობდა, ბინა ჰქონდა მიხეილის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ერთ ნესტიან სარდაფში. ამ დროს მასთან ბევრი ამხანაგი და მეგობარი დადიოდა; ეგნატე მულამ ცეცხლმოკიდებული გატაცებით ეკამათებოდა სხვა და სხვა საგანზედ. ამხანაგები ჰხედავდნენ, როგორ სანთელივით ღნებოდა ეგნატე და იქიდანვე ჰგლოვობდნენ თავიანთ მასწავლებლის დაკარგვას. ამ დრომაც არ დააყოვნა. 1893 წ. ექიმების რჩევით წავიდა თავის სამშობლო სოფელში, სადაც 1894 წ. 29 აპრილს გარდაიცვალა ქლეკით.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეგნატეს მთელი ცხოვრება ერთი განუწყვეტელი ბრძოლა იყო სიღარიბესთან, ლუკმა პურისთვის, იმ დროს, როცა სწყუროდა სწავლა და ცოდნის შე-

ქენა. ამ გაკირვებამ ეგნატეს კუბოს კარამდე მისდევს, ეგნატე ხეთ აგრედვე, რომ ეგნატე, თუმცა ასეთ გაკირვებებში მისი მინც ახერხებს სწავლის და ცოდნის შექმნას, ბევრს კითხულობს. ვნახეთ, რომ ეგნატე ვერ ჩერდება იქ, სადაც ჰხედავს, რომ ხალხს, მშრომელ ხალხს უსამართლოდ ექცევიან; დაურიდებლად სცდილობს თვალი აუხილოს მშრომელ ხალხს და დაანახოს, რა არის მიზეზი იმის გაკირვებისა. ეგნატე ასე მოქმედობს არა მარტო სიტყვით, საქმიანაც, არა ცალკე, არამედ მთელის თვისის ძალ-ღონით, მაგრამ მარტო ამასაც არ სჯერდება; სამი-ოთხის წლის წინად თავის გარდაცვალებისა, ეგნატე იწყებს მოთხრობების წერას. თუ რას ამოიკითხავ ამ მოთხრობებში, იმ ორის სიტყვიდანაც ცხადად სჩანს, რომლითაც დაახასიათეს ეგნატე ლიტერატურაში: „ხალხის გულის მესაიდუმლეა, ხალხის ღვიძლი შეილია“-ო. ყოველი ქირ-ვარამი ხალხისა თვითვე განიცადა, ნახულ-ნაცადით მისი გული მწარე ნალევლით აივსო და ეს ნალველი ობოლ მარგალიტებად გადმოაღაგა და გააბნია თავის საუცხოვო ნაწერებში. და დღეს, ეგნატე ნინოშვილს ახსენებ თუ არა, შენს წინ მკაფიოდ, ცხადად, საუცხოვო ფერადებით დახატული გამოიკიშება მისი გმირები. კაცია მუნჯადე (განკარგულება), რომელიც დგას მარტოთ მარტო. მთვარიან ღამეში მოჩვენებასავით რკინის გზის ლიანდაგზე, მწარე ფიქრებში გართული, გზას უდარაჯებს, „დიდი კაცი“ მოდისო. მწარეა კაციას ფიქრები! რა არა აქვს საზრუნავი და საწუხარი საწყალს ყაზახს? ცოლშვილი არჩინე, ფოსტის ფული გადაიხადე, „უჩიტლის“, მწერლის, ბეგარას გაუძელე, გზის სამუშაოდ წადი, სადარაჯოდ დასდევ, ყველას მოაჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე! არა, ძალიან უბედურად არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი.

აი მეორე მისის მოთხრობის გმირი გოგია უიშვილი (მოთხ. გოგია უიშვილი) კალანდის სამზადისშია, დროებით დავიწყებული აქვს თავისი გაკირვებული ცხოვრება. მისი და-



ნაოკებელი, შუბლი მხიარულების ნიშნად, გაშლილი მხარის დაკორძებულის ხელებით შვილებს ეალერსება და ამ დროს ისეთი უბედურება ატყდება თავზე, რომ კალანდის მხიარულება ჯოჯოხეთად ექცევა.

აბა, ყური დაუგდოთ პალიასტომის ტბის ტალღებში ჩანთქმულ ივანეს, (იხ. პალ. ტბა), რომელიც ოჯახის მოთხოვნილების, „უჩიტლის“, გზის, მღვდლის, მწერლის და სხვათა გადასახადების დასაკმაყოფილებლად ორის გროშის საშოგრად ტივებს აკურებს, და თავის საყვარელ შვილ ნიკოსთან ერთად იღუპება. ივანე თითქო გრძნობდა ამას, როცა წინა დღეს ერთის უბედურის შემთხვევის გამო თავის მეზობელ გოგიას ეუბნება: „ასეა უბედური მუშა კაცის საქმე, — მუშაობს, მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გაიხედავდა ჩაკვდება საცხა, რავარც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდენი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკვტება, რამდენი — სხვა კუთხეში და რამდენი — სად! რა არის ჩვენი სიცოცხლე“!...

ამ მცირე ამონაწერებიდანაც საკმაოდ ცხადად სჩანს, რომ ეგნატე ნინოშვილი მართლა ხალხის მესაიდუმლეა. მაშ, თუ გსურს გაიგო ხალხის გულის ნადები, მისი ქირი და ღბინი, მისი უმწურო მდგომარეობა, მის სამართალს მოკლებული ტანჯული ცხოვრება, გაიცნო მისი მტერი და მოყვარე, ვახდე მოზიარე მისის გულის სიღრმეში ჩაგუბებულ ნალველ-დარდისა, იცხოვრო მის წამებულ ცხოვრებით, წაიკითხეთ ეგნატეს „პალ. ტბა“, „გოგია უიშვილი“, „განკარგულება“, „მოსე მწერალი“ და სხვა.

წელს, 29 აპრილს შესრულდა თხუთმეტი წელი, რაც ეს „ხალხის გულის მესაიდუმლე“ გარდაიცვალა. ხალხმა თვისი მოამაგე, თვისი გულთა მხილავი სიყვარულით და პატივისცემით მოიგონა!

ლ. ელიავა





სინათლა და მისი

მნიშვნელობა

(შეჯივნილი)




ოგორ ჩნდება სხვა-და-სხვა ფერების შთაბეჭდილება და რა არის მათი წარმომშობი მიზეზი, ამას გავიგებთ თვალის შესწავლის დროს, რომელსაც ახლავე შეუღლებით.

თვალი წარმოადგენს ვაშლივით მრგვალ სხეულს და შესდგება შემდეგის ნაწილებისაგან (სურათი 17 და 18): გარედან აკრავს თეთრი სქელი გარსი, რომელსაც ჰქვია **სკლერა**. სკლერა წინ ცოტათი გამობერილია და გამსქვირვალე—ამ ნაწილს ჰქვია **რქის გარსი**. სკლერაში გამოფენილია მეორე ნაწილი თვალისა—**ქურჭლების გარსი**, ეგრედ წოდებული იმიტომ, რომ შესდგება სისხლის ქურჭლებისაგან.

წინა ნაწილი ქურჭლების გარსისა გახვრეტილია, და ამ ნახვრეტის ირგვლივ მას სხვა-და-სხვა ფერი აქვს, რაზედაცაა დამოკიდებული თვითონ თვალების ფერი. ამ ფერად ნაწილს ჰქვია **ირისი** და მის ნახვრეტს—**გუგა**. პირველ შეხედვით გვეჩვენება, რომ გუგა შავად შეღებილი ნაწილია ირისისა, და მასში პარველად ნახვრეტს ვერ ვამჩნევთ. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ქურჭლების გარსს აკრავს პიგმენტის გარსი შავის ფერისა. როდესაც ირისის ნახვრეტში—გუგაში ვიხე-



დებით, მოჩანს ეს შავი გარსი, და გუგაც ამის გვერდით
გვეჩვენება. უკანასკნელი გარსი, რომელიც ბადესავითაა გა-




ბილი სი 17

ბანდული თვალის შიგნით, არის ეგრედ წოდებული რეტი-
ნა—ნერვის გარსი. ეს არის ოპტიკური ანუ მხედველობის
ნერვი, რომელიც თავის ტვინიდან შემოდის თვალში და
იბანდება შიგ. გუგას უკან არის მოგრძო მრგვალი გამსკვირ-
ვალე სხეული ლინზა, ჩვეულებრივის შუშის ლუბის მსგავსი,
რომელიც უკან უფრო გამოწეულია, ვიდრე წინ. ლინზას
წინ თვალი გავსებულია ერთგვარის სითხით, რომელსაც ჰქვია
წყლისნაირი სითხე, და ლინზას უკან—ეგრედ წოდებული
შუშისნაირი სქელის სითხით. ამისთანაა, მოკლე აღწერით,
თვალის შენობა. ყოველ მის ნაწილს სპეციალური დანიშნუ-
ლება აქვს. რქის გარსი იცავს თვალს, რომ გარედგან არა-
ფერი ჩაეარდეს შიგ და ზიანი არ მიაყენოს. წყლის და შუშის



ნაირი სითხე, ღონისასთან ერთად, სტებენ თვალში ქვეყნულ სხივებს და განსაზღვრულ მიმართულებას აძლევენ, თუმცა

გ ა მ ა რ ი ი ა რ ი ა



სურ. 18.

იმათი როლი ისეთი დიდმნიშვნელოვანი არ არის, როგორც ღონისა, რომელზედაც დაწვრილებით ქვეით გვექნება ლაპარაკი. ირისის ნახვრეტი, ანუ თვალის გუგა, არის სინათლის გამწვსრიგებელი თვალში. იგი ხან განიერდება და ხან ვიწროვდება, რომ ყოველთვის ზომიერად შეუშვას თვალში სხივები, და მხედველობის პროცესსი გარკვეულად ჰხდებოდეს. დღისით, მაგალითად, როდესაც თვალს ბევრი სინათლე ჰხდება, გუგა ვიწროვდება და, როდესაც სინათლე კლებულობს, მაგალითად, საღამოს, განიერდება. ეს თვისება გუგისა ადვილი შესამოწმებელია. ჩაიხედეთ დღისით სარკეში და დაიხსომეთ გუგის სიდიდე, შემდეგ გაიმეორეთ ცდა საღამოს, დაბნელების დროს, ან საღამოს დააკვირდით გუგას ჯერ უსინათლოდ და შემდეგ სანთელთან. შეამჩნევთ, რომ პირველად უფრო ვიწრო იყო გუგა და მეორედ-კი უფრო ფართე. ქურკლების



გარსი, როგორც სისხლის მომტანი ნაწილი თვალში შეიჭრება და ინახავს თვალს.

ყველა ნაწილზედ უფრო მნიშვნელოვანია თვალში ლინზა და რეტინა, რადგანაც პირველი იძლევის სინათლის სხივს განსაზღვრულ მიმართულებას და აჩენს თვალში საგნების გამოხატულებას, როგორც ჩვეულებრივი ლუპა, და მეორე-კი, იღებს სინათლის მოკმედებას და გადასცემს ტვინს.

ლინზა ისეთსავე დანიშნულებას ასრულებს თვალში, როგორსაც ჩვეულებრივი შუშის ლინზა, ე. ი. სტებს საგნების მიერ უკუქცეულ თვალში შესულ სხივებს და აჩენს რეტინაზედ საგნების გამოხატულებას: მაგალითად, თუ თვალწინ დგას ხე, უკუაქცევს იმ სხივებს, რომლებიც მას ანათებენ; უკუქცეული სხივები შედიან თვალში და, ლინზის შემოწმებით, რეტინაზედ აღიბეჭდება ხრს გამოხატულება.

ლინზა ამ დროს ისე სცვლის გვერდების ამოღუნელობას (აღიდებს ან აპატარავებს) იმ ძაფების და მუსკულების საშუალებით, რომლებითაც დამაგრებულია თვალში, რომ სხივები შესაფერად გადატეხოს, და საგნის გამოხატულება უსათუოდ რეტინაზედ აღიბეჭდოს. ამას ჰქვია თვალის **აკომოდაცია** ანუ **შეგუება**. თუ საგანი 25 სანტიმეტრზედ ახლავს ნორმალურ თვალს, მაშინ ლინზას ასეთის ცვლილების მოხდენა არ სჭირდება, რადგანაც ამ შემთხვევაში გამოხატულება ისეც რეტინაზედ კეთდება. ¹⁾

ადვილი მისახვედრია, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ლინზას მხედველობის პროცესში, მაგრამ როგორ ხდება ის საკვირველი მოვლენა, რომ საგნებს პირდაპირ ვხედავთ, თუმცა ლინზა, როგორც ვიცით, თავ-უკულმა გადაბრუნებულ გამოხატულებას იძლევა? ეს შეტად საინტერესო ამბავი აიხსნება იმ ვარემოებით, რომ მხედველობას ეხმარება მუსკუ-

¹⁾ როდესაც თვალი მოკლებულია ნორმალურ თვისებებს, მაშინ სხვადასხვანაირი სათვალეები უწყობენ ხელს აკომოდაციას.



ლების მგრძობიარება—შემხებლობა, და იმათის შეგუებულობა იბადება ერთი საზოგადო შთაბეჭდილება. თუ გზებზე გზისკენაა შემხებლობის გამოყენებას ზოგიერთ შემთხვევებში, მაშინ ეს პროცესსიც ძნელი გასაგები არ იქნება: სიბნელეში საგნებს ვარჩევთ შემხებლობის საშუალებით (ხელის მოკიდებით), და ეს გრძნობა ეხმარება ბრმებსაც მზგავსადვე უწინამძღვროდ სიარულის დროს, ან როდესაც სწავლობენ საგნების ფორმას, კითხვას და სხ. იმათ ისე აქვთ განვითარებული ეს გრძნობიარება, რომ ყოველთვის არ სჭირიათ პირდაპირი შეხება ხელით ან სხეულით. საღ თვლიან ადამიანებშიც ასე შორიდგან მოქმედებს შემხებლობის გრძნობა, რომელიც დიდის ხნის გამოცდილებით და შთამომავლობით აქვთ შეთვისებული. სინათლის მიღებ და მგრძობიარე ელემენტის—რეტინას როლი ასეთია: სხივები ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მსოფლიო ეთერის რყევა (სხივები, როგორც ზევით ნათქვამიდგან ვიცით, ეთერის რყევისაგან წარმოსდგება) არყვეს და აღძრავს ხოლმე რეტინას, რომლის მიერაც ეს მოქმედება გადაეცემა ტვინს, და იქ, ამ საზოგადო ცენტრში, აღიბეჭდება განსაზღვრული შთაბეჭდილება, რომელსაც უწოდებთ სინათლეს, სწორედ ისე, როგორც ერთგვარ შთაბეჭდილებას უწოდებთ სითბოს, მეორეს—სიცივეს და სხვ., ასე რომ სინათლე, როგორც ყოველი სხვა შთაბეჭდილება, თავისსთავად არ არსებობს—ის მხოლოდ ნაყოფია ეთერის მოქმედებისა თვალის ნერვზედ და იმის შემწეობით ტვინზედ. თუმცა ამ პროცესის დროს რეტინა განიცდის სინათლის ფიზიოლოგიურ მოქმედებას (ე. ი. ერთგვარ ცვლილებას სინათლის გავლენით), და თუმცა რეტინაზედ ჩნდება საგნების გამოხატულება, მაგრამ თვითონ რეტინა ვერც სინათლეს გრძნობს და ვერც, მით უმეტეს, საგნების ფორმას არჩევს,—ის მხოლოდ გადასცემს ხოლმე ტვინს მიღებულ მოქმედებას ეთერისას ისე, როგორც ტელეგრაფის მავთული გადასცემს ელექტრონის მოქმედებას ერთის აპპარატიდგან მე-

ორეს. რომ გადავკრათ მხედველობის ნერვი და დავეყენებოთ
 გავსწყვიტოთ კავშირი თვალსა და ტვინს შორის, თვალის
 მაინც თვალად დარჩება, მასში ყოველთვის იმ გვარადვე იმოქ-
 მედებს სინათლე, და ისევე გაჩნდება საგნების გამოხატულე-
 ბა, როგორც უწინ, მაგრამ ეს პროცესისი ტვინამდის ველარ
 მიახწევს, რადგანაც ხიდი ჩატეხილი იქნება, და თვალის პა-
 ტრონი ველარ იგრძნობს სინათლეს, ველარაფერს დაინახავს— ის
 ბრმა შეიქმნება, — მოხდება იმისი მგზავსი მოვლენა, რაც სმე-
 ნას ემართება სმენის ნერვის გადაკრის დროს.

ასეთი მნიშვნელობა აქვს რეტინას მხედველობისთვის,
 მაგრამ იგი ყოველ ადგილას არ არის ასეთი მგძნობიარებით
 დაჯილდოვებული: არის ისეთი ადგილი თვალში, სადაც რე-
 ტინა სრულიადაც არ განიცდის სინათლის მოქმედებას. ეს




სურ. 19.

ადგილი მდებარეობს იქ, სადაც მხედველობის
 ნერვი შედის თვალში, და როდესაც იქ დაე-
 ცემა სხივები, თვალი ვერაფერს იტყობს, რის
 გამოც ხსენებულ ადგილს დაარქვეს ბრმა წერტილი. ამას ამ-
 ტიციებს შემდეგი ცდა: დახატეთ მარჯვნივ შავი ბურთი და
 მარცხნივ—ჯვარი (სურ. 19.)¹⁾ შემდეგ დახუკეთ მარცხენა
 თვალი, მარჯვენათი მიაჩერდით ჯვარს იმ მანძილზედ, რა მან-
 ძილზედაც თქვენ თავისუფლად პკითხულობთ ნაწერს ჩვეულე-
 ბრივად, და ნელ-ნელა გასწიეთ წინ ქალაღდი (რომელზედაც
 ბურთი და ჯვარია დახატული) ისე, რომ თვალი არ შეარყიოთ
 არც მარჯვნივ და არც მარცხნივ; მალე, ერთ განსაზღვრულ
 მანძილზედ, ბურთი გაპქრება; შემდეგ კი თუ კიდევ უფრო
 გასწევთ ქალაღდს, ბურთი ისევ გამოჩნდება. (იგივე მოვლენა
 მოხდება ჯვრის შესახებაც, თუ მარჯვენა თვალს დახუკავთ და
 მარცხენათი ბურთს დაუწყებთ ცქერას). მთელი ცდის განმავ-
 ლობაში სურათი თქვენ თვალ წინ იყო, მაგრამ ერთ მანძილ-

¹⁾ შეიძლება, რასაკვირველია, სხვა სურათების დახატვაც და მათი
 ადგილის შეცვლაც.



ზედ ის ველარ დაინახეთ. ეგებ იფიქროთ, რომ თვალი და შორდა სურათს, და ამიტომაც ველარ დაინახეთ, მაგრამ სიშორე რომ აქ არაფერ შუაშია, ეს ნათლად სჩანს იქიდან, რომ როდესაც სურათი უფრო შორს გასწიეთ, ხელახლავ გამოჩნდა. მაშისადამე, ამ საკვირველ მოვლენის მიზეზი თვით თვალში უნდა ვეძიოთ. მართლაც, გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ხსენებული მოვლენა ჩნდება მაშინ, როდესაც სხივები ეცემა ბრმა წერტილზედ. მაგრამ ამ წერტილმა რაღა დააშავა, რად არის რეტინის სხვა მრავალი ნაწილები ისეთის მგრძნობიარე სინათლისა, და ეს ადგილი კი არა? ამის მიზეზია თვითონ რეტინას შენება, მისი ნაწილების სხვადასხვაობა. რეტინა ერთის მარტივის გარსისაგან არ შესდგება: მიკროსკოპის შემწეობით რომ განვიხილოთ, დავრწმუნდებით, რომ სხვა-და-სხვა შემადგენელ ნაწილებს შეიცავს, როგორც ეს გადიდებულ სურათზეა ციფრებით ნაჩვენები (სურათი 20), და იმათ შორის მხოლოდ ერთია სინათლის საგრძნობლად გამოსადეგარი, დანარჩენები-კი იმგვარადვე ვერ გვაგრძნობინებენ სინათლეს, როგორც ყოველი სხვა ნაწილი ჩვენის სხეულისა. ამ ნაწილს შეადგენენ ეგრედ წოდებული ჯოხები და ბოთლები (სურათზედ ეს ნაწილი აღნიშნულია ციფრით 8). ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ თავის ფორმით ჯოხებს და ბოთლებს ჰგვანან.



იქ, სადაც მხედველობის ნერვი შედის თვალში, არც ბოთლები აქვს რეტინას და არც ჯოხები, და ესაა ერთად-ერთი მიზეზი ამ ადგილის სიბრმავისა.

ჯოხებს და ბოთლებს შორის ისეა განაწილებული როლები, რომ ჯოხები გვაგრძნობინებენ სინათლეს საზოგადოდ, და ბოთლები-კი ფერთა გარჩევის იარაღია.


ი. მოსეშვილი



მითღობია

ბრძოლის ომი

ჰექტორის დაბრუნება ბრძოლის ველიდან



ქვევლებისა და ტროადელების რაზმები, ათინა ქალ-ღმერთისა და ჰერას ოლიმპოსზედ დაბრუნების შემდეგაც, წინანდებურად თავგანწირულებით იბრძოდნენ. ორივე მოწინააღმდეგე მტერი იერიშით მიდიოდა ერთი მეორეზედ და უკანასკნელ სულის ამოსუნთქვამდის იარაღს ხელს არ ამორებდა. ბრძოლის ველი ამ დროს საშინელებას წარმოადგენდა. მოკლულთა გვამებს ერთიანად დაეფარა თვალ-უწვდენელი შინდორი. თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ დაჰრილთა საზარელი გმინვა და კვნესა მოისმოდა. ბრძოლის ველზედ სამკვდრო სასიცოცხლოდ გამოსული მხედრობა სრულიად ყურადღებას არ აქცევდა ამ საზარელ სურათს და, რაც ძალი და ღონე მოეპოვებოდა, უფრო თავ-დავიწყებით და ძლიერის იერიშით მიდიოდა მტერზედ.

ომიანობის ღმერთის არესის დაჰრის შემდეგ, ტროადელებმა დაჰკარგეს ძველებური მხნეობა და გაბედულება. ტროადელების ძლევა-მოსილი მთავარ-სარდალი ჰექტორი ელვის სისწრაფით ათვალთვრებდა ბრძოლის ველზედ გამოსულს მხედრობას, ყველას სათითაოდ სიტყვით თუ საქმით ამხნეებდა, მაგრამ იგი საწადელს მაინც ვერ აღწევდა. ელვინთა მხედრობა უფრო მეტს მხნეობას და გაბედულობას იჩენდა და თითქმის ბრძოლის ყველა ადგილას მტერზედ იმარჯვებდა.



შეტად უკიდურეს მდგომარეობას განიცდიდნენ ტროადელები, იგიინი თითქმის მზად იყვნენ მტრისათვის რგი ექციათ და ილიონის მაგარის ზღუდეებისათვის შეეფარებინათ თავი.

სწორედ ესეთს გაკირვებას განიცდიდა ტროადელების მხედრობა, როცა გაბრძნობილმა ჰელენოსმა ურჩია თავის ძმას, მთავარ-სარდალ ჰექტორს, დაუყონებლივ ქალაქში დაბრუნებულყო და ათინა ქალ-ღმერთას ტაძარში გაეგზავნა ტროადის წარჩინებული მანდილოსნები მსხვერპლის შესაწირავად, ეგების ათინა ქალ-ღმერთას მიეხედნა ტროადელების გაკირვებულ მდგომარეობისათვის და განსაცდელისაგან გადაერჩინა ტროადელების უდანაშაულო კოლშვილი. ჰექტორს კეუბაში დაუჯდა ჰელენოსის რჩევა და, უკანასკნელად გაამხნევა რა სასოწარკვეთილი მხედრობა, დაუყონებლივ დასტოვა ბრძოლის ველი და ქალაქისკენ გაემართა.

ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს ჰექტორს ილიონის ზღუდეთა ალყათის კარებთან შემოეგებნენ ტროადის ქალები და თვითოეული მათგანი მწუხარებით და გულმტკივნეულობით ეკითხებოდა მთავარ სარდალს ომის შედეგის ამბავს, თვითოეულს მათგანს დაწვრილებით უნდოდა გაეგო თავის ქმრების, შვილების და მეგობრების ვითარება.

ჰექტორი ყველას სანუგეშო სიტყვით მიესალმა, ყველანი დაამშვიდა და ამასთანავე ყველას ურჩია, ღმერთებს შევედრებოდნენ ტროადის მოსალოდნელ განსაცდელისაგან გადარჩენისათვის.

ამის შემდეგ ჰექტორი დაუყონებლივ გაემართა თავის მამის, მოხუც პრიამოსის, სასახლისაკენ. სასახლის ბჭის კარებთან ჰექტორს წინ შემოხვდა დედა მისი, მოხუცი ჰეკუბა, რომელმაც თავის ძლევა მოსილ შვილს ხელი დაუჭირა და ესეთის სიტყვებით მიმართა: „შვილო, რად დასტოვე ესეთს დროს ბრძოლის ველი? სჩანს, საზიზღარი აქვევლები ძალზედ ავიწროებენ ტროადელების მხედრობას, თორემ შენ ბრძო-



ლის ველს არ დასტოვებდი და აქ არ მოხვიდოდი ღმერთებისადმი თვის დახმარების შესავედრებლად? დაიცა, შეიღობ, უნდა გეღობოდა ღვინოს გამოგიტან, და ოლიმპოსის მბრძანებელს ზევსს და სხვა უკედავ ღმერთებს ზედაზე წაუქციე და შენც დალიე! ბრძოლის ველზედ დალილსა დს დაქანცულ მეომრისათვის ღვინო მეტად მარგებელია!”

ტროადელების მთავარ სარდალმა ესე უპასუხა თავის საყვარელ მოხუც დედას: „გმადლობ, ჩემო საყვარელო დედავ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ღვინო ამ ეპიკად ჩემს ძალასა და მხნეობას თუ არას დააკლებს, ვერას შემატებს. გარდა ამისა ჩემის სისხლით გათხუპნილი ხელებით ზევსისათვის ზედაშის წაქცევა დიდ კანდიერებად მიმაჩნია! დედავ, დაუყოვნებლივ მოაგროვე ტროადის წარჩინებული მანდილოსნები და მათთან ერთად წარემგზავრეთ ათინა ქალღმერთის ტაძარში. ჩვენს სასახლეში რაც კი ძვირფასი ტანთსაცმელი მოიპოვება, ყველა თან წაიღე და მოწიწებოთ მიუძღვენ ათინა ქალღმერთს. ამასთანავე შეევედრე, რომ, თუ იგი განსაცდელისაგან იხსნის ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს, ჩვენს უდანაშაულო კოლშვილს და ჩჩვილ ყრმებს, კიდევ შესწირავ თორმეტ უმწიკვლო ხბოს. მე კი ახლავე წავალ პარისთან და ვთხოვ ჩემთან ერთად წამოვიდეს ბრძოლის ველზედ, თუ კი დაიჯერა ჩემი სიტყვები. ღმერთებმა შეაჩვენონ იგი! მიწამ უყოს იმას პირი! ჩვენს სამშობლოს, მოხუცის მამაჩემის დასალუპველად მოგვივლინა იგი ჩვენ ღმერთების მამათმთავარმა ზევსმა!“

ამ სიტყვების შემდეგ ჰექტორი დაუყოვნებლივ პარისის სახლისაკენ გაემართა. პარისი სახლში იჯდა და იარაღს ასუფთავებდა. იქვე მის ნახლობლად სავარძელში იჯდა მშვენიერი ელენე და ძვირფასს ტანთსაცმელს ჰქსოვდა.

ჰექტორმა საყვედურის კილოთი მიმართა თავის ძმას: „საცოდაო, განა ესეთ განსაცდელის დროს თავისი სამშობლოსა და ერის მოსიყვარულე მეომარი ბრძოლის ველს დასტოვებს და სახლში უქმად დაჯდება? განა არ იცი, რომ



ბრძოლის ველი ამ ცამად საშინელ სურათს წარმოგვჩვენებს: ჩვენი მხედრობა ილუპება ბრძოლის ველზედ და შენ კისნაწმინდა უქმად ზიხარ და რალიცას ჩხირკედელობ! დიად, ომი ილიონის ზღუდეთა მახლობლად არის გაჩაღებული და საცა მტერი თავს დაგვესხმის და შენ კი ისე იქცევი, თითქოს აქ არაფერი ამბავიანო. რატომ არ გინდა ერთი წამით მაინც შეიგნო, რომ ეს უბედურება მხოლოდ და მხოლოდ შენის მეოხებით დაატყდა თავს ტროადელებს. შენებრ რომ სხვა ვინმე მოქცეულიყო, პირველი შენ დაჰგმობდი და შერისხავდი პარის! ჩაუფიქრდი შენს მოქმედებას! რას ჩადიხარ! განა სახლში ასე არხეინად ჯდობა ვისმეს ებატება? ვფიქრობ არა და არა! ამიტომ, გირჩევ, დაუყოვნებლივ შევიარაღდი და ბრძოლის ველზედ წავიდეთ ერთად, ვგების ცოტათი მაინც შეუშს უბუქოთ მძიმე ტვირთი ჩვენს თანა მოძმეებს!”

პარისმა ასე უპასუხა ჰექტორს: „სრულიად საფუძვლიანი, ძმაო, შენი საყვედური! დიად, ღირსი ვარ საყვედურისა! მაგრამ, უნდა იცოდე, მე ბრძოლის ველი იმითომ კი არ დავსტოვე, რომ ტროადელებს უჯავრდებოდი, არა, სულ სხვა მიზეზი იყო ჩემი სახლში დაბრუნებისა! ისეთი ბოღმა და მწუხარება შემომამწვა გულს, რომ ჩემი ბრძოლის ველზედ დარჩენა უნაყოფო იქნებოდა და კიდევაც ამიტომ ვამჯობინე სახლში დაბრუნება! აი, ახლაც მირჩევდა ჩემი მეუღლე ომში წასვლას! დიად, სრული კეშმარიტებაა შენი საყვედური და კიდევაც ამიტომ მე თანახმა ვარ ბრძოლის ველზედ წამოვიდე. ცოტა დამიცადე, შევიარაღდები, ან არა და შენ წადი და მეც მალე გზაში მოგეწევი!“

ჰექტორმა ამ სიტყვაზედ არა უპასუხა რა პარისს.

მშვენიერმა ელენემ, რომელიც მწუხარებით ისმენდა ძმების ერთმანეთს შორის ბაასს, სიყვარულის კილოთი მიმართა ჰექტორს: „ძვირფასო ჩემო მახლო! განა უმჯობესი არ იყო თვით იმ დღეს მომსპობოდა სიცოცხლე, რა დღესაც საბრალო დედაჩემმა მშობა! დიად, ბევრად უმჯობესი იქნე-




ბოდა, რადგან ესეთი უბედურება ხომ მაშინ დაგვადრდობდათ თავზედ! ჩემისა და ჩემის უსირცხვილო მეუღლის მტყუანებით მთელი ერი განსაცდელს განიცდის და, ვინ იცის, რითა ან როგორ დაბოლოვდება საქმე! ჩემს მეუღლეს რომ ცოტათი მაინც სირცხვილი აწუხებდეს, განა იგი ამ გაქირვების დროს სახლში დაჯდებოდა! გეფიცებით, ჩემო მაზლო, პატროსნებას, სირცხვილით პირის კანი მისკდება! სული და გული მეწამლება და თვითონაც არ ვიცი, რას ჩავდივარ! ჩემო მაზლო, დაისვენე ცოტათი, ჩემისა და ჩემის უსირცხვილო მეუღლის მეოხებით შენ ესეთს განსაცდელში ჩავარდი! შრომა და გაქირვება ყველაზედ უფრო შენ განიცადე! დაისვენე ცოტათი*!

ჰექტორმა ასე უპასუხა მშვენიერ ელენეს: „ჩემო რძალო, გმადლობ, მაგრამ დასვენებას ნუ მთხოვ! განა დასვენებისათვის მცალია! გული ბრძოლის ველისაკენ მიმიწევს, ჩვენი მხედრობა მოუთმენლად მიმელის ბრძოლის ველზედ. დააჩქარე შენი მეუღლე, რომ დაუყოვნებლივ შეიარაღდეს და ქალაქიდან გასვლამდის მაინც დამეწიოს გზაში! ჩვენი ბრძოლის ველზედ მისვლა, ექვს გარეშეა, მხედრობას დიდად გაამხნევებს და თავგასულ მტერს დროებით მაინც შეიოკებს. მშვიდობით! მე ერთს წამს სახლში შევივლი, ცოლსა და შვილს ვნახავ! ვინ იცის, ეგების ცოცხალიც არ დაებრუნდე ბრძოლის ველიდან*!

ა. მიქაბერიძე





ციფრების ფოკუსი

აიღეთ ქალაქი და დასწერეთ რაოდენიმე ციფრიანი რიცხვი, მაგალითად:

23456

ამ რიცხვს თქვენც მიუმატეთ, რაც გსურდეთ, მეც მიუმატებ, მაგრამ ვიდრე ამას მოვიქმედებდეთ, მე წინ-და-წინვე გეტყვით, თუ ერთიანი ჯამი რაც იქნები მათი.

უეკველად იქნება:

223454.

არა გჯერათ? მაშ, მიუწერეთ, რაც გინდათ, ზემოხსენებულს ციფრს.

მე დავწერე: 23456

თქვენ: 13214

მე: 86785

თქვენ: 34560

მე: 65439

ერთიანი ჯამია 223454

ესე იგი იმდენი, რაც მე წინ-და-წინ დავსწერე.

ახლა აგიხსნით როგორ ხდება ეს:

პირველ ციფრს, რაც გინდა იყოს, სულ ერთია, ამ შემთხვევაში 23456, ჯერ, როცა მოწერილი არა გქონდეთ არც თქვენ, და არც თქვენს ამხანაგს, უნდა ბოლო ციფრს „6“-ს



გამოაკლოთ ყოველთვის ერთნაირად 2 და ეს 2 მიუწერეთ
თავში, ესრე: საქართველოს
აკადემიისთვის

223454.

აი, ეტყვი, ეს ჯამი შედგებათქო. შემდეგ-კი, როცა
იმან ციფრი მიუწეროს თქვენის პირველ ციფრის ქვეშ, თქვენ
უნდა მიუწეროთ იმ ნაირის ანგარიშით, რომ იმის ცალ-
ცალკე ციფრი და თქვენი მოწერილი შეადგენდეს 9-ს. ესთქვით
იმან მოაწერა:

	13214
თქვენ დასწერეთ	86785
	<hr style="width: 50%; margin-left: auto; margin-right: 0;"/> 99999
იმან დასწერა:	
	34560
თქვენ:	65439
	<hr style="width: 50%; margin-left: auto; margin-right: 0;"/> 99999
როდესაც თქვენ მიცემულს ციფრს:	23456
გამოაკელით ბოლოს 2 და მიუწერეთ წინ, რა მოხდა?	223454
	23456
	<hr style="width: 50%; margin-left: auto; margin-right: 0;"/> 199998

ის მოხდა, რომ პირველ ციფრს 23456-ს, მოემატა 199998,
ესე იგი იმდენი, რამდენსაც შენ და შენი ამხანაგი რიგ-რიგით
უმატებდით:

	13214
	86785
	34560
	65439
	<hr style="width: 50%; margin-left: auto; margin-right: 0;"/> 199998



არითმობიკული ამოცანა

(წარმოდგენილი თეო კანდელაკისაგან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიცხვი 12. 245. 679 გაამრავლეთ მეორე რიცხვით, რომ
გამრავლების შემდეგ მიიღოთ სულ ერთეებისაგან შემდგარი
შესამე რიცხვი.

რ ე ბ უ ს ი



ს
"



, ე



ლ
" 200 "



მ

, ბუნ



, 100,

ბუ




რ



ნ



“




ნ
ნ



”

ზ



“



”



“



1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდე.



საქმეწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამხდვარ ტარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შიდადება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-ღღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 3 მ წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

ვამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.